

მაღალმთიანი რეგიონების კონკურენტული უპირატესობის კვლევა



კვლევა „მაღალმთიანი რეგიონების კონკურენტული უპირატესობა“ მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA), სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის (DRDVE) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევითი ინსტიტუტის (ISET PI) მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან კვლევის ავტორები და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

1. შესავალი	5
2. მეთოდოლოგია	7
2.1 მიზიდულობის ცენტრები და ფუნქციური რეგიონები.....	7
2.2 ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი მიმართულებებისა და განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე დარგების გამოვლენა	11
2.3 კვლევის შეზღუდვები	14
3. კვლევის შედეგები	16
3.1 მიზიდულობის ცენტრები და ფუნქციური რეგიონები.....	16
3.2 მთაში ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი მიმართულებები და კონკურენტუნარიანობის შეფასება	19
3.2.1 რძის პროდუქტების წარმოება	21
3.2.2 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები	42
3.2.2 ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა.....	43
4. შემაჯამებელი დასკვნა.....	63
დანართი	64

ცხრილები

ცხრილი 1. მონაცემები მიზიდულობის ცენტრების იდენტიფიცირებისთვის	8
ცხრილი 2. შეფასების კრიტერიუმები.....	12
ცხრილი 3. კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები.....	13
ცხრილი 4. მიზიდულობის ცენტრების საბოლოო ჩამონათვალი	16
ცხრილი 5. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები	20
ცხრილი 6. მუნიციპალიტეტებისა და შესაბამისი ფუნქციური რეგიონების სია	21
ცხრილი 7. რძის წარმოება რეგიონების მიხედვით 2017 წელს (მლნ. ლიტრი)	23
ცხრილი 8. რძის სექტორში ჩართული შინამეურნეოების რაოდენობა და წილი შინამეურნეოების მთლიან რაოდენობაში	26
ცხრილი 9. რძის სექტორში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით	26
ცხრილი 10. სუპერმარკეტების ფილიალებისა და ბაზრობების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	27
ცხრილი 11. რეგისტრირებული სასტუმროებისა და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით	28
ცხრილი 12. ვეტერინარების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით	31
ცხრილი 13. ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	33
ცხრილი 14. რძის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები.....	35
ცხრილი 15. რძის სექტორის SWOT ანალიზი	39
ცხრილი 16. მუნიციპალიტეტებისა და შესაბამისი ფუნქციური რეგიონების სია.....	42
ცხრილი 17. რეგისტრირებული და აქტიური სასტუმროებისა და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	46
ცხრილი 18. სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები	50
ცხრილი 19. SWOT ანალიზი	58

ფიგურები

ფიგურა 1. მიზიდულობის ცენტრებისა და ფუნქციური რეგიონების რუკა (პირველადი).....	17
ფიგურა 2. მიზიდულობის ცენტრებისა და ფუნქციური რეგიონების რუკა (საბოლოო)	18
ფიგურა 3. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების გადანაწილება ფუნქციურ რეგიონებს შორის	19
ფიგურა 4. პრიორიტეტული სექტორები მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში	20
ფიგურა 5. რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვი.....	23
ფიგურა 6. რძისა და რძის პროდუქტების იმპორტი.....	29
ფიგურა 7. წარმოებული რძისა და იმპორტირებული რძის ფხვნილის რაოდენობა.....	30
ფიგურა 8. სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების ღირებულებათა ჯაჭვი. 44	

1. შესავალი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, „საქართველო 2020“-ის თანახმად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება;
- ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება;
- ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება.

რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მიღწევაში. მნიშვნელოვანია მოხდეს საქართველოს რეგიონების შედარებითი კონკურენტული უპირატესობების, მათი სპეციფიკის, არსებული პოტენციალის გამოვლენა და ოპტიმალურად გამოყენება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ძლიერი და კონკურენტუნარიანი რეგიონების განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გაზრდას.

რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების, ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და მისი სტიმულირების, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისა და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შემდგომი მოწესრიგება და განვითარებაა. გარდა ამისა, სტრატეგია „საქართველო 2020“-ის თანახმად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა და ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.¹

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის კვლევის თანახმად, რეგიონებს შორის სხვაობები არსებობს, თუმცა მათ შორის არსებული ყველაზე სისტემური რეგიონული უთანასწორობა შეიძლება აიხსნას რეგიონებში ურბანიზაციის მაჩვენებლის მიხედვით. კერძოდ, შედარებით მეტად ურბანიზებულ რეგიონებს, როგორც წესი, ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი მთლიანი დამატებული ღირებულება, ბევრად მრავალფეროვანი და განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურა და ინფრასტრუქტურა აქვთ. ამ კუთხით, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, რომელიც საქართველოს მასშტაბით შეიძლება ყველაზე მოწყვლად რეგიონებად იქნეს მიჩნეული.

მთაში მცხოვრები მოსახლეობა დგას ისეთი პრობლემების წინაშე, როგორიცაა ინფრასტრუქტურის არარსებობა, რთული საცხოვრებელი პირობები, საოჯახო მეურნეობების მწირი ეკონომიკური შესაძლებლობები, სასურსათო უსაფრთხოების ნაკლებობა, რაც, ხშირ

¹ ამოღებულია: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/sagartvelo_2020.pdf, მაისი, 2019

შემთხვევაში, განაპირობებს მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციას დაბლობში.

აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე 2015 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. ამ კანონის მიზანია მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.² საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლს, რომელშიც აღნიშნულია: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს“³. კანონის მიღება, ცხადია, იმაზე მიანიშნებს, რომ მთის განვითარება ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა რეგიონალური განვითარების კუთხით არსებული გამოწვევების მოგვარებისათვის საჭიროა როგორც მთავრობის, ასევე საჯარო და კერძო სექტორების ერთიანი ძალისხმევა. ამ პროცესში დიდი კვლევითი საქმიანობის როლიც. დღესდღეობით, მცირეა ისეთი კვლევების რაოდენობა, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, მდგრადი რეგიონული სტრატეგია დაგვეფუძნებინა ფაქტობრივ მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე.

აღნიშნული კვლევის მიზანია სწორედ მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ინფორმირებული რეგიონული პოლიტიკის ხელშეწყობა და ამ მიზნის მისაღწევად შემდეგი საკითხების კვლევა:

- მიზიდულობის ცენტრების დადგენა;
- ფუნქციური რეგიონების იდენტიფიკაცია;
- ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი მიმართულებებისა და განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე დარგების გამოვლენა;
- გამოვლენილი დარგების კონკურენტული უპირატესობების შესწავლა;
- ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისათვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, მოცემული ფუნქციური რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

² ამოღებულია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=3>, მაისი, 2019

³ <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

2. მეთოდოლოგია

2.1 მიზიდულობის ცენტრები და ფუნქციური რეგიონები

ფუნქციური რეგიონის ცნება განსხვავებულად განისაზღვრება სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში (Erlebach, Klapka, Halas, & Tonev, 2014). გამოყენებითი კვლევის შესრულებისას კვლევითმა ჯგუფმა ფუნქციური რეგიონი განსაზღვრა როგორც ტერიტორიული ერთეული, რომელსაც ახასიათებს ინტარეგიონალური (შიდარეგიონალური) ეკონომიკური ურთიერთმოქმედების მაღალი სიხშირე. ეკონომიკური ურთიერთმოქმედებებია: ინტარეგიონალური სასაქონლო და მომსახურებით ვაჭრობა, დასაქმებულთა მგზავრობა საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაო ადგილამდე და საოჯახო მეურნეობების მიერ შენამუშევრების გაკეთება (Karlsson & Olsson, 2006). ფუნქციურ რეგიონს ახასიათებს ეკონომიკური საქმიანობების აგლომერაცია და განვითარებული ინტარეგიონალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების, საქონლისა და ნედლეულის აქტიურ გადაადგილებას ფუნქციური რეგიონის საზღვრებს შიგნით (Konjar, Lisec, & Drobne, 2018). ფუნქციურ რეგიონს გააჩნია ერთი ან რამდენიმე მიზიდულობის ცენტრი, რომლებიც წარმოადგენს აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთმოქმედებების ყველაზე აქტიურ კვანძებს ფუნქციურ რეგიონში. ძირითადად, ეს არის დიდი, ეკონომიკურად განვითარებული ქალაქები ან მუნიციპალიტეტები.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ფუნქციური რეგიონებისა და მიზიდულობის ძირითადი ცენტრების იდენტიფიცირების რამდენიმე მიდგომა, როგორებიცაა, მაგალითად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიგრაციის მიდგომა (Hemmasi, 1980), ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მიდგომა, დაკავშირებული ზონების მიდგომა, დაკავშირებული აგრეგაციის მიდგომა (Karlsson & Olsson, 2006) და ფუნქციური რეგიონების გამოყოფა მობილური ოპერატორებისგან განხორციელებული ზარების ლოკაციებზე მიღებული ინფორმაციის გამოყენებით (Novak, Ahas, & Aasa, 2013).

ფუნქციური რეგიონებისა და მიზიდულობის ძირითადი ცენტრების იდენტიფიცირებისთვის კვლევითმა ჯგუფმა გამოიყენა ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მეთოდის მოდიფიცირებული ვერსია. აღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით განისაზღვრა ფუნქციური რეგიონები სლოვენიაში (Konjar, Lisec, & Drobne, 2018) და ჩეხეთში (Klapka, Halás, Tonev, & Bednář, 2013), რაც შემდგომში აქტიურად გამოიყენეს აღნიშნულ ქვეყნებში რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის.

ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მეთოდის გამოყენების პირველ ეტაპზე კვლევითმა ჯგუფმა გამოავლინა „ძლიერად თვითკმარი“ მუნიციპალიტეტები⁴, რომლებიც მიზიდულობის ძირითადი ცენტრებია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით მუნიციპალიტეტი ასეთად მიიჩნევა, თუ ერთდროულად აკმაყოფილებს ორ პირობას:

⁴ თეორიულად მიზიდულობის ძირითადი ცენტრის განსაზღვრა ხდება დასახლებული პუნქტის დონეზე (ქალაქი, დაბა, სოფელი), მაგრამ პრაქტიკაში აღნიშნულ დონეზე ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების სიმცირის გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხი განიხილება მუნიციპალიტეტების დონეზე.

1. დასაქმებულთა გარკვეულ პროცენტზე ნაკლები ყოველდღიურად მიემგზავრება სამუშაო ადგილამდე, რომელიც მდებარეობს სხვა მუნიციპალიტეტებში;⁵
2. მუნიციპალიტეტში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს გარკვეულ რაოდენობას.⁶

საქართველოში, სამწუხაროდ, ინფორმაცია ყოველდღიურ მგზავრობაზე სახლიდან სამუშაო ადგილამდე არ არსებობს, ამიტომ თავდაპირველ ეტაპზე პოტენციური ძირითადი მიზიდულობის ცენტრების („ძლიერად თვითკმარი“ მუნიციპალიტეტების) იდენტიფიცირებისთვის კვლევითმა ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი ინდიკატორები (ცხრილი 1):

ცხრილი 1. მონაცემები მიზიდულობის ცენტრების იდენტიფიცირებისთვის

#	მონაცემი	წყარო
1	მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	საქსტატი, 2014 წლის საყოველთაო აღწერა
2	შიდა მიგრანტების განაწილება, წინა და ამჟამინდელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	საქსტატი, 2014 წლის საყოველთაო აღწერა
3	დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	საქსტატი, საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია
4	დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	საქსტატი, IDFI, საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია
5	რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	საქსტატი
6	სუპერმარკეტების ქსელების ფილიალების რაოდენობა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	სუპერმარკეტების ვებ-გვერდები
7	ტექნიკის მაღაზიათა ქსელების ფილიალების რაოდენობა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	ტექნიკის მაღაზიათა ვებ-გვერდები

⁵ 90-იან წლებში განხორციელებულ კვლევებში აღებული იყო 20%-იანი ნიშნულები (Karlsson & Olsson, 2006). სლოვენიაში განხორციელებულ კვლევაში (Konjar, Lisec, & Drobne, 2018) ეს მაჩვენებელი 35%-ის ტოლი იყო.

⁶ აქაც არ არსებობს უნივერსალური ნიშნული, იგი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე.

8	კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალების რაოდენობა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით	კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვებ-გვერდები
9	დასახლებული პუნქტების ღამის საათებში განათების ინტენსივობის სატელიტური გადაღების მონაცემები თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.	აშშ-ის ოკეანეს და ატმოსფერული ეროვნული ადმინისტრაცია (NOAA)

აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია საშუალებას იძლევა, თითოეულ მუნიციპალიტეტში გავზომოთ ეკონომიკური აქტიურობის დონე, რითიც შეგვიძლია ირიბად გამოვიტანოთ დასკვნები, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის „მიზიდულობის“ უნარის შესახებ.

მე-9 პუნქტში მოცემული ინფორმაცია, როგორც ეკონომიკური აქტივობის ირიბი ინდიკატორი (proxy), საშუალებას იძლევა შემოწმდეს, რამდენად მაღალია ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია დასახლებულ პუნქტში. აღნიშნული მონაცემები დამუშავდა კვლევითი ჯგუფის მიერ სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამა “Stata”-ში, რითიც შესაძლებელი გახდა ყველა მუნიციპალიტეტისთვის განათების სიკაშკაშის კოეფიციენტის მინიჭება და ღამის განათების ინტენსივობის რუკის შექმნა (იხ. დანართი, გრაფიკი A1).

პირველი 5 ინდიკატორის წყაროა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ ჩატარებული საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები (1, 2) და საქსტატის კვლევები და გამოცემები (3, 4, 5). მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტში მითითებული ინფორმაცია შეგროვდა სუპერმაკეტების, ტექნიკის მაღაზიათა ქსელებისა და კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე არსებული ფილიალების რუკების შესწავლის შედეგად, ხოლო განათების ინტენსივობის მონაცემები აღებულია აშშ-ის ოკეანეს და ატმოსფერული ეროვნული ადმინისტრაციის (NOAA) ვებგვერდიდან.

სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, განისაზღვრა ყოველი მუნიციპალიტეტის რეიტინგი, თითოეული ინდიკატორის მიხედვით. ასე, მაგალითად, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისმა პირველი ადგილი დაიკავა თითქმის ყველა ინდიკატორის მიხედვით (დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების მიხედვით იგი რეიტინგში მე-5 იყო). შემდეგ ეტაპზე მოხდა საშუალო რეიტინგის დათვლა, რისთვისაც ყველა ინდიკატორს მიენიჭა ერთნაირი წონა (იხ. დანართი, გრაფიკი A2).

მიღებული საშუალო რეიტინგის გამოყენებით დადგინდა პოტენციური მიზიდულობის ცენტრები. ამისათვის ავარჩიეთ მუნიციპალიტეტები, რომელთა საშუალო რეიტინგი არსებითად უკეთესი იყო სხვა მუნიციპალიტეტების რეიტინგზე. შედეგად, შეირჩა რეიტინგის მიხედვით პირველი 21 მუნიციპალიტეტი.

მიზიდულობის ცენტრებისა და შესაბამისი ფუნქციური რეგიონების განსაზღვრისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ნაკლოვანებაა ის, რომ შერჩეული

მუნიციპალიტეტები თეორიულად შეიძლება კონცეპტირებული იყოს ერთ გეოგრაფიულ არეალში, რაც ქმნის საშიშროებას, რომ ქვეყნის გარკვეული გეოგრაფიული ნაწილები (მათ შორის მაღალი მთის სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტები) დარჩეს მიზიდულობის ცენტრის გარეშე (და ფუნქციური რეგიონების გარეთ). ამ პრობლემის შერბილებისთვის კვლევითმა ჯგუფმა გამოიყენა დამატებითი პირობა, რომლის მიხედვითაც თითოეულ ადმინისტრაციულ რეგიონში შესაძლებელია განისაზღვროს მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ორი მიზიდულობის ცენტრი. აღნიშნული პირობის გათვალისწინებით, საბოლოოდ, შეირჩა 18 მუნიციპალიტეტი (მიზიდულობის ცენტრი).

ადგილობრივი სამუშაო ბაზრის მეთოდოლოგიის მიხედვით (Konjar, Lisec, & Drobne, 2018), მიზიდულობის ცენტრების იდენტიფიცირების შემდეგ ხდება მათ გარშემო არსებული ფუნქციური რეგიონების საზღვრების დადგენა. იმისათვის, რომ დასახლებული პუნქტი მოხვდეს ფუნქციური რეგიონის საზღვრებში იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას:

$$FR_i = \{x: f_i(x) \geq f_j(x)\}$$

სადაც:

i და j - აღნიშნავს ორი ფუნქციური რეგიონის მიზიდულობის ცენტრებს;

FR_i - აღნიშნავს ფუნქციურ რეგიონს, რომლის ცენტრია i ;

x - აღნიშნავს დასახლებულ პუნქტს, რომელიც i და j ცენტრებს შორის მდებარეობს;

$f_i(x)$ - წარმოადგენს x დასახლებული პუნქტის დასაქმებულთა რაოდენობას, რომელიც ყოველდღიურად სამუშაოდ მიემგზავრება i ცენტრში მდებარე სამუშაო ადგილებამდე;

თუ ზემოთ მოცემული პირობა სრულდება, მაშინ x დასახლებული პუნქტი მიეკუთვნება იმ ფუნქციურ რეგიონს, რომლის ცენტრი არის i .

თეორიულად, აღნიშნული მეთოდით იდენტიფიცირებული ფუნქციური რეგიონის საზღვრები არ მიჰყვება ადმინისტრაციულ საზღვრებს, მაგრამ პრაქტიკაში არსებული სტატისტიკური მონაცემები ამის საშუალებას არ იძლევა და x -ად აღებული არის არა დასახლებული პუნქტი, არამედ მუნიციპალიტეტი.

აღნიშნული მეთოდი ეფუძნება დასაქმებულთა სახლიდან სამუშაო ადგილამდე ყოველდღიური მგზავრობის მონაცემებს. სლოვენის შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან (Konjar, Lisec, & Drobne, 2018), ჩეხეთში ინფორმაციის წყაროა საყოველთაო საგზაო ტრანსპორტის აღწერა (Klapka, Halás, Tonev, & Bednář, 2013). საქართველოში მსგავსი ინფორმაცია არ მოიპოვება, ამიტომ კვლევითი ჯგუფის მიერ მოხდა მონაცემების შეგროვება ე.წ. „ხაზის“ სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის შესახებ. შემუშავებული კითხვარის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი A1) კვლევითმა ჯგუფმა გამოიკითხა სამარშრუტო ტაქსების ავტოსადგურის გამცილებლები და დირექტორები 18 შერჩეულ მუნიციპალიტეტში.

2.2 ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი მიმართულებებისა და განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე დარგების გამოვლენა

საქართველოს მაღალმთიან რეგონებში, კერძოდ იმ გეოგრაფიულ ზონებში, რომელზეც ვრცელდება საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირებისა და კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის კვლევითმა ჯგუფმა გამოიყენა:

- ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით სპეციალიზაციის ინდექსი და სექტორის ზრდის ტემპი;
- ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა და აღწერა გამოვლენილი პრიორიტეტული სექტორების დასახასიათებლად;
- პორტერის მოდელი საწარმოო ფაქტორებზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად;
- SWOT ანალიზი პრიორიტეტული სექტორების ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად.

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების⁷ გამოყოფა და ასეთად კვლევითი ჯგუფის დაშვების თანახმად მიჩნეულ იქნა ის მუნიციპალიტეტები, სადაც სოფლების 50%-ზე მეტი, კანონის მიხედვით, მაღალმთიანად არის აღიარებული.

ამ მუნიციპალიტეტებისთვის მოხდა სპეციალიზაციის ინდექსის გამოთვლა, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$SI_{ij} = n_{ij}/N_i$$

სადაც

i - აღნიშნავს ეკონომიკური საქმიანობის სახეობას (სექტორს);

j - აღნიშნავს მუნიციპალიტეტს;

SI_{ij} - აღნიშნავს სპეციალიზაციის ინდექსს i სექტორისთვის j მუნიციპალიტეტში;

n_{ij} - აღნიშნავს i სექტორში j მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და აქტიური კომპანიების რაოდენობას;

N_i - აღნიშნავს i სექტორში მთლიანად ქვეყანაში რეგისტრირებული და აქტიური კომპანიების რაოდენობას.

რაც შეეხება სექტორის ზრდის ტემპს, აღებულია 2010-2017 წლის საშუალო ზრდის ტემპი მოცემული სექტორისთვის. ვინაიდან სექტორების ზრდის ტემპი მოცემული არ არის მუნიციპალიტეტის დონეზე, მის ნაცვლად გამოყენებულ იქნა ზრდის ტემპი ქვეყნის დონეზე.

⁷ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს.

სპეციალიზაციის ინდექსსა და ზრდის ტემპზე დაყრდნობით, შერჩეული მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა სექტორები, რომლებიც ხასიათდება მაღალი ან/და საშუალო სპეციალიზაციის ინდექსითა და მაღალი ზრდის ტემპით.

მუნიციპალიტეტებში ამგვარად გამოვლენილი სექტორებიდან პრიორიტეტული სექტორების განსაზღვრისთვის მოხდა კრიტერიუმების შემუშავება და თითოეული კრიტერიუმისთვის შესაბამისი წონის მინიჭება⁸ (ცხრილი 2).

ცხრილი 2. შეფასების კრიტერიუმები

რანჟირება	კრიტერიუმი	წონა
1	რესურსებზე ხელმისაწვდომობა (ადამიანური რესურსები, ბუნებრივი რესურსები, ცოდნა და გამოცდილება, კაპიტალური რესურსები, მათ შორის ინფრასტრუქტურა)	0.31
2	დასაქმების შესაძლებლობა	0.23
3	შემოსავლის მიღების შესაძლებლობა	0.21
4	მთის რეგიონებში განვრცობის პოტენციალი (რელევანტურობა მთიანი რეგიონებისთვის)	0.14
5	სხვა სექტორებთან კავშირი	0.12

კრიტერიუმებისთვის წონების მინიჭებაში მონაწილეობა მიიღეს GIPA, ISET, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა და ასევე დამოუკიდებელმა ექსპერტებმა. მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი სექტორების შეფასება 1-10-მდე ქულამდე, იმის მიხედვით, რამდენად კარგად აკმაყოფილებდა ესა თუ ის სექტორი მოცემულ კრიტერიუმს. სექტორების შეფასებისას კვლევითმა ჯგუფმა გათვალისწინა ლიტერატურის მიმოხილვის შედეგებიც. მკვლევართა გუნდი დაეყრდნო მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს, ანგარიშებსა და კვლევებს. ყველაზე მაღალი შეფასების (ქულის) მქონე სექტორები მიჩნეულ იქნა პრიორიტეტულ სექტორებად.

გამოვლენილი პრიორიტეტული სექტორებისთვის მოხდა ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა და მისი ძირითადი მონაწილეებისა და დამხმარე სერვისების აღწერა. ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის დროს განისაზღვრა კავშირები ძირითად მონაწილეებს შორის და ასევე შეფასდა დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობა. ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი ეყრდნობოდა ლიტერატურის მიმოხილვასა და სხვა საშუალებებს, რომელთა ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

პრიორიტეტული სექტორების კონკურენტული უპირატესობების შესასწავლად კვლევითი ჯგუფი, ძირითადად, დაეყრდნო პორტერის მოდელის⁹ (Porter Diamond Theory of National

⁸ აღნიშნული წონების შემუშავება მოხდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შედეგად.

⁹ პორტერის მოდელი - ბაზარზე დაფუძნებულ მიდგომას (Market-Based View (MBV) წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოებული საქონლის/მომსახურების ჩამნაცვლებლების, მომხმარებლების და მომწოდებლების ძალაუფლებისა და, ზოგადად, კონკურენციის დონის შეფასებას. ამ

Advantage) ადაპტირებულ ვერსიას. ამ მიდგომით შეფასდა მაღალმთიან რეგიონებში პრიორიტეტული სექტორების კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების მდგომარეობა (ცხრილი 3).

ცხრილი 3. კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები	დახასიათება
წარმოების ფაქტორები	ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, კაპიტალი, ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები.
საბაზრო ფაქტორები (საბაზრო მოთხოვნა)	ბაზრის ზომა, მომხმარებლის მახასიათებლები. პროდუქციის გასაღების გზები და ა.შ.
შერჩეულ სექტორთან დაკავშირებული სხვა დარგები	დამხმარე სექტორები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია შერჩეულ სექტორთან
მმართველობა	სახელმწიფო პოლიტიკა შერჩეულ სექტორთან მიმართებაში, სახელმწიფო რეგულაციები, სტანდარტები და ა.შ.

კვლევის ბოლო ეტაპზე განხორციელდა პრიორიტეტული სექტორების SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა.

კვლევითმა ჯგუფმა ზემოთ აღწერილი მეთოდებისთვის მონაცემები შეაგროვა სამაგიდე და საველე სამუშაოების მეშვეობით. სამაგიდე სამუშაოები გულისხმობდა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვას, ანგარიშებისა და კვლევების გაცნობას, ხოლო საველე ნაწილში ინტერვიუები ჩატარდა იდენტიფიცირებული პრიორიტეტული სექტორების ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებთან. 2019 წლის მარტსა და აპრილში სულ ჩატარდა 60 ინდივიდუალური ინტერვიუ კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან. საველე სამუშაოებისთვის შემუშავებულ იქნა კითხვარები. ერთი ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 45 წუთს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები პრიორიტეტული სექტორებისთვის. გარდა ამისა კვლევითმა გუნდმა შეიმუშავა ადვოკატირების გეგმა კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდებისთვის.

მიდგომის მიხედვით, სწორედ გარე ფაქტორები მიიჩნევა კომპანიისა თუ დარგის კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელად.

2.3 კვლევის შეზღუდვები

მოცემულ კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

მიზიდულობის ცენტრებისა და ფუნქციური რეგიონების დადგენის დროს, გამოვლინდა, რომ:

- იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალურ ცენტრში არსებობს რამდენიმე ავტოსადგური/ლოკაცია, სადაც სამარშრუტო ტაქსი ჩერდება (მაგ;ბათუმი, ქუთაისი), ხდებოდა ინფორმაციის შეგროვება მხოლოდ ცენტრალურ ავტოსადგურზე/ლოკაციაზე, რასაც შეეძლო გამოეწვია გარკვეული ინფორმაციის დაკარგვა. ამ რისკის პოტენციური უარყოფითი ეფექტის მინიმიზაციისთვის, კვლევის მეორე ნაწილში, პრიორიტეტული სექტორების კონკურენტუნარიანობის შეფასების დროს, ხდებოდა რესპონდენტებთან ინფორმაციის გადამოწმება და იმის დაზუსტება, თუ რა არის მიზიდულობის ცენტრი ამ თუ იმ მუნიციპალიტეტისთვის;
- ზოგიერთ მუნიციპალურ ცენტრში ავტოსადგური ემსახურება სამარშრუტო ტაქსების მცირე რაოდენობას, ხოლო მგზავრთა უმეტესობა იყენებს ტრანზიტულ/გამჭოლ ხაზებს (მაგ, ბორჯომი, მცხეთა). ასეთ შემთხვევებში, გაკეთდა დაშვება, რომ ტრანზიტული ხაზის მგზავრების 30% ჩამოდის აღნიშნულ მუნიციპალიტეტში;
- ფუნქციური რეგიონის განსაზღვრის პროცესში თბილისის ჩართვით ხდებოდა თითქმის მთელი საქართველოს გაერთიანება ერთ დიდ ფუნქციურ რეგიონში, რომლის ცენტრი არის თბილისი. აქედან გამომდინარე, თბილისი არ იყო გათვალისწინებული სამარშრუტო ტაქსების კითხვარში, თუმცა კვლევის მეორე ეტაპმა აჩვენა ანალიზში თბილისის, როგორც ერთ-ერთი მიზიდულობის ცენტრის, დამატების აუცილებლობა და, შესაბამისად, მოხდა თბილისის გათვალისწინება საბოლოო შედეგებში.

პრიორიტეტული სექტორების კონკურენტუნარიანობის შეფასების შემთხვევაში:

- სპეციალიზაციის ინდექსის დათვლისას გასათვალისწინებელია ის, რომ საწარმოს რეგისტრაციის ადგილი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მის რეალურ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. კვლევის შედეგებზე ამ შეზღუდვის გავლენის მინიმიზაციისთვის, პრიორიტეტული სექტორების გამოვლენა არ მომხდარა მხოლოდ სპეციალიზაციის ინდექსსა და ზრდის ტემპზე დაყრდნობით, არამედ ამ ინდექსების კომბინაციით სექტორების სხვა კრიტერიუმების მიმართ შეფასებასთან.;
- ვინაიდან სექტორების ზრდის ტემპი მოცემული არ არის მუნიციპალიტეტის დონეზე და მის ნაცვლად გამოყენებულია ზრდის ტემპი ქვეყნის დონეზე, ამ ცვლადის მიხედვით, ერთი და იმავე სექტორის შემთხვევაში, ვარიაცია მუნიციპალიტეტებს შორის ნულის ტოლია. ამ შეზღუდვიდან გამომდინარე ერთი და იმავე სექტორს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ერთი და იგივე ზრდის ტემპი აქვს, რაც შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სიმართლეს. ეს შეზღუდვა გამოწვეულია მუნიციპალიტეტის დონეზე

არსებული სტატისტიკური მონაცემების სიმწირით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის დონეზე ზრდის ტემპი ასახავს ამა თუ იმ სექტორის პრიორიტეტულობას ქვეყნის მასშტაბით და, აქედან გამომდინარე, ეს ცვლადი მაინც რელევანტურია კვლევისთვის. ვინაიდან სექტორის პრიორიტეტულობა არ განისაზღვრება მხოლოდ ზრდის ტემპით, არამედ სხვა ცვლადებთან კომბინაციაში, ამ შეზღუდვის გავლენა შედეგებზე მცირეა;

- შერჩევის ზომის სიმცირე. კვლევის განმავლობაში გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა არ იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას. ამ შეზღუდვის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად, ინტერვიუს შედეგების გარდა ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ იქნა მეორადი წყაროები (არსებული კვლევები, ანგარიშები და ა.შ.)

3. კვლევის შედეგები

3.1 მიზიდულობის ცენტრები და ფუნქციური რეგიონები

აღწერილი მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევითმა ჯგუფმა გამოავლინა 18 მიზიდულობის ცენტრი - მუნიციპალიტეტი ან თვითმმართველი ქალაქი (მე-4 ცხრილი):

ცხრილი 4. მიზიდულობის ცენტრების საბოლოო ჩამონათვალი

#	მიზიდულობის ცენტრი	საშუალო რეიტინგი
1	ქ. თბილისი	1.4
2	ქ. ბათუმი	4.1
3	ქ. ქუთაისი	5.6
4	ქ. რუსთავი	5.8
5	ქ. ფოთი	9.6
6	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	11.6
7	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	12.6
8	თელავის მუნიციპალიტეტი	13.2
9	მარნეულის მუნიციპალიტეტი	13.3
10	გორის მუნიციპალიტეტი	15.3
11	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	15.8
12	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	17.4
13	ხაშურის მუნიციპალიტეტი	19.0
14	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	20.8
15	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	20.8
16	ახალციხის მუნიციპალიტეტი	20.9
17	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	21.3
18	მცხეთის მუნიციპალიტეტი	22.3

აღსანიშნავია რომ მიზიდულობის ცენტრების ჩამონათვალში კახეთის რეგიონიდან თელავის გარდა კიდევ ორი მუნიციპალიტეტი - გურჯაანი და საგარეჯო მოხვდა, ვინაიდან ამ მუნიციპალიტეტებს ერთნაირი სარეიტინგო ქულა ჰქონდათ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევითმა ჯგუფმა განსაზღვრა 18 ფუნქციური რეგიონი, კვლევის წინა ეტაპზე იდენტიფიცირებული მიზიდულობის ცენტრების ირგვლივ (ფიგურა 1).


ფიგურა 1. მიზიდულობის ცენტრებისა და ფუნქციური რეგიონების რუკა (პირველადი)




1-ელ ფიგურაზე ჩანს, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი არ შევიდა არც ერთ ფუნქციურ რეგიონში (ნაცრისფრად მონიშნული მუნიციპალიტეტები). ლენტეხის, ცაგერის, ონის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, კასპის და წალკის მუნიციპალიტეტებს არ გამოუვლინდათ სამარშრუტო ხაზი არც ერთ მიზიდულობის ცენტრთან. ქუთაისის მთავარ სადგურში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ რეგულარული სამარშრუტო ხაზი, რომელიც აკავშირებს ქუთაისს ლენტეხის, ცაგერის ან ონის მუნიციპალიტეტთან არ არსებობს. იგივე შედეგი მივიღეთ ზუგდიდისა და ფოთის ავტოსადგურებში გამოკითხვისას. ყაზბეგის, დუშეთისა და თიანეთის შემთხვევაში, სამარშრუტო ხაზი არსებობს, მაგრამ მხოლოდ თბილისთან. ეს შედეგი განპირობებულია ზემოთ აღწერილი შეზღუდვებით, რომლებიც უკავშირდება მთავარი სადგურების გამოკითხვას და მგზავრების მიერ ტრანზიტული/გამჭოლი ხაზების გამოყენებას.

მაღალმთიან რეგიონებში განვითარების მაღალი პოტენციალისა და კონკურენტული უპირატესობების მქონე დარგების გამოსავლენად და მათი კონკურენტუნარიანობის გასაანალიზებლად ჩატარებული სავსელე სამუშაოების დროს, კვლევითი ჯგუფის მიერ მოხდა ფუნქციური რეგიონების საზღვრების დაზუსტება. კერძოდ, გამოვლინდა, რომ საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სამუშაოდ ან საყიდლებისთვის უფრო ხშირად დადის ზესტაფონში და არა ქუთაისში. იგივე შეიძლება ითქვას ცაგერის, ლენტეხის და ონის მუნიციპალიტეტების მოსახლეობაზეც. ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სასტუმროები და რესტორნები თბილისიდან მარაგდებიან; მცხეთის მუნიციპალიტეტი თავად არ წარმოადგენს მიზიდულობის ცენტრს და შედის თბილისის ფუნქციურ რეგიონში; იგივე შეიძლება ითქვას საგარეჯოზე. წალკის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სავსელე სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ სამუშაო ძალის აქტიური მოძრაობა წალკასა და რომელიმე მიზიდულობის ცენტრს შორის არ არსებობს, თუმცა საყიდლებისთვის მოსახლეობის ნაწილი მიემგზავრება

ფიგურა 2. მიზიდულობის ცენტრებისა და ფუნქციური რეგიონების რუკა (საბოლოო)



ფიგურა 3. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების გადანაცვლება ფუნქციურ რეგიონებს შორის



მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები ნაკლებად არიან წარმოდგენილი მიზიდულობის ცენტრების საბოლოო ჩამონათვალში იქიდან გამომდინარე, რომ მათ აქვთ შედარებით დაბალი რეიტინგი ზემოთნახსენები 9 ინდიკატორის მიხედვით. თუმცა, თითოეულ რეგიონში მაინც შეიძლება გამოიყოს შედარებით მაღალი რეიტინგის მქონე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები - პოტენციური მიზიდულობის ცენტრები მთაში. ასე, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთისთვის ასეთი მუნიციპალიტეტია ახალქალაქი, რომელსაც რეგიონში სხვა დანარჩენ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებთან შედარებით უფრო მაღალი რეიტინგი აქვს. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთისთვის ასეთი მუნიციპალიტეტია ამბროლაური, აჭარისთვის - შუახევი, მცხეთა-მთიანეთისთვის - დუშეთი, ქვემო ქართლისთვის - წალკა, მთიანი კახეთისთვის - ახმეტა, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთისთვის - მესტიის მუნიციპალიტეტი.

3.2 მთაში ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი მიმართულებები და კონკურენტუნარიანობის შეფასება

კონკურენტუნარიანობის ანალიზი ჩატარდა იმ მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც სოფლების 50%-ზე მეტი მიჩნეულია კანონის მიერ მაღალმთიანად და ქვეყნის მასშტაბით ასეთი 21 მუნიციპალიტეტი გამოვლინდა (მე-5 ცხრილი). ესენია:

ცხრილი 5. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები

#	მუნიციპალიტეტი	#	მუნიციპალიტეტი
1	ქედა	12	ცაგერი
2	შუახევი	13	მესტია
3	ხულო	14	ადიგენი
4	ჭიათურა	15	ასპინძა
5	ახმეტა	16	ბორჯომი
6	დუშეთი	17	ახალქალაქი
7	თიანეთი	18	ნინოწმინდა
8	ყაზბეგი	19	დმანისი
9	ამბროლაური	20	თეთრიწყარო
10	ლენტეხი	21	წალკა
11	ონი		

მეთოდოლოგიაში აღწერილი მიდგომების საფუძველზე, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მაღალი ან/და საშუალო სპეციალიზაციის ინდექსისა და მაღალი ზრდის ტემპის მქონე აქტივობებად (სექტორებად) გამოვლინდა¹⁰: სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები; ძირითადი ძვირფასი და სხვა ფერადი ლითონების წარმოება; შერეული სოფლის მეურნეობა; სამედიცინო და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ნაკეთობების წარმოება; საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება; ობიექტების კომპლექსური დამხმარე მომსახურება; ძირითადი ქიმიკატების, სასუქების და აზოტის ნაერთების წარმოება; პლასტმასებისა და სინთეზური კაუჩუკის წარმოება პირველად ფორმებში; ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება; რძის პროდუქტების წარმოება. შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე კი ამ ჩამონათვალთან პრიორიტეტულს სექტორებად შეირჩა:

1. რძის პროდუქტების წარმოება;
2. სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები.

ორივე პრიორიტეტული სექტორი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა (ფიგურა 4):

ფიგურა 4. პრიორიტეტული სექტორები მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში

¹⁰ სექტორები ჩამონათვალში შემთხვევითად არის დალაგებული.

ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი ასპინძა ახალქალაქი ნინოწმინდა
-----------------------------	--

მიუხედავად იმისა, რომ მე-5 ცხრილში ჩამოთვლილი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის მეცხოველეობაც და რძის პროდუქტების წარმოებაც ტრადიციულად წამყვანი დარგებია, ამ მუნიციპალიტეტებში არსებული გარემო ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ასე მაგალითად, **თეთრიწყაროს** მუნიციპალიტეტისთვის თბილისთან სიახლოვე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს იმას, რომ რძის პროდუქტების ძირითადი ბაზარი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის სწორედ თბილისია. ეს ფაქტი იმითიც არის განპირობებული, რომ მარნეული მარაგდება მეზობელი სოფლებიდან და, შესაბამისად, მარნეულის ბაზარი გაჯერებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. აღსანიშნავია ისიც, რომ თეთრიწყაროში საოჯახო მეურნეობების უმეტესობა რძეს ვერ აბარებს და ყველს აწარმოებს გასაყიდად. მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია მუნიციპალიტეტში, იგი არ გამოირჩევა რძის გადამამუშავებელი საწარმოების სიმრავლით და ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს.

რაც შეეხება ქუთაისის ფუნქციურ რეგიონში შემავალ **ონისა და ლენტეხის** მუნიციპალიტეტებს, სპეციალიზაციის ინდექსსა და ზრდის ტემპზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ამ მუნიციპალიტეტებში მეცხოველეობა ხასიათდება მაღალი სპეციალიზაციის ინდექსითა და უარყოფითი ზრდის ტემპით. ეს განპირობებულია იმით, რომ მეცხოველეობა, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, ტრადიციული დარგია ამ მუნიციპალიტეტებისთვის; თუმცა მაღალმთიანი სოფლებიდან ახალგაზრდების მიგრაციამ გამოიწვია ის, რომ დარჩენილი მოსახლეობის უმეტესობა საპენსიო ასაკისაა და შრომა-ინტენსიურ დარგებს, როგორიცაა მეცხოველეობა, ვერ მისდევს. აღსანიშნავია ის, რომ სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ლენტეხში ნაკლებად განვითარებულია ტურიზმი და ძირითადი აქცენტი სოფლის მეურნეობაზე კეთდება. სხვა რეგიონებთან შედარებით, აქ ასევე შეინიშნება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების ნაკლებობა¹¹. ლენტეხის მუნიციპალიტეტი ხასიათდება დაბალშემოსავლიანობითა და ბაზრებისგან სიშორით.

რაც შეეხება **წალკისა და დმანისის** მუნიციპალიტეტებს, რომლებიც შედის მარნეულის ფუნქციურ რეგიონში, მათაც ახასიათებთ თავისებურებები, რომლებიც გავლენას ახდენს რძის სექტორის განვითარებაზე. ასე, მაგალითად წალკაში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება სხვა ზემოთ აღწერილ მუნიციპალიტეტებთან შედარებით, გაცილებით უფრო განვითარებულია. წალკაში წარმოდგენილია როგორც რძის შემკრები, ისე გადამამუშავებელი საწარმოები. მათ შორის არსებობს ისეთებიც, რომლებიც გამოირჩევა ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი დონით და თანამშრომლობენ ისეთ მსხვილ სუპერმარკეტებთან თბილისში, როგორიცაა გუდვილი და ორი ნაბიჯი. რაც შეეხება დმანისის მუნიციპალიტეტს,

¹¹ თუმცა, არის რამდენიმე კოოპერატივი, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში.

აქ დღეისათვის მხოლოდ ერთი ინტენსიური მეცხოველეობის ფერმაა, რომელიც აწარმოებს რძეს და აბარებს მსხვილ კომპანიებს (მაგ., სანტეს და სოფლის ნობათს). მუნიციპალიტეტში ამჟამად შენდება რძის გადამამუშავებელი საწარმო.

მე-6 ცხრილში მოყვანილ ფუნქციურ რეგიონებს შორის რძისა და რძის პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით, უმსხვილესია ახალციხის ფუნქციური რეგიონი, სადაც რძის წარმოება რეგიონში შემავალ ყველა მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ხდება, გარდა ბორჯომისა. **ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის** მუნიციპალიტეტები გამოირჩევიან რძის შემკრები და გადამამუშავებელი საწარმოების სიმრავლით და აქ წარმოებული რძის პროდუქტის რეალიზაცია ხდება როგორც თბილისში, ასევე ბათუმსა და ქუთაისში.¹²

რეგიონულ ჭრილში, საქართველოში წარმოებული რძის 20% ქვემო ქართლზე მოდის, სადაც მისი დიდი ნაწილი დაბლობში იწარმოება და არა მთაში, ხოლო 14% - სამცხე ჯავახეთზე (მე-7 ცხრილი).

ცხრილი 7. რძის წარმოება რეგიონების მიხედვით 2017 წელს (მლნ. ლიტრი)

ქ. თბილისი	2.5	0.5%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	32.5	6%
გურია	24.5	5%
იმერეთი	110.7	21%
კახეთი	53	10%
მცხეთა-მთიანეთი	19.4	4%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	7.1	1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	64.8	12%
სამცხე-ჯავახეთი	71.7	14%
ქვემო ქართლი	103.2	20%
შიდა ქართლი	39	7%
მთლიანი წარმოება	528.4	


წყარო: საქსტატი, 2019

3.2.1.1 ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა

რძის პროდუქტების წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი მთაში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი (ფიგურა 5):

ფიგურა 5. რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვი

¹² უნდა აღინიშნოს ის, რომ სექტორების გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ეყრდნობა როგორც ინდექსებს, ასევე ინტერვიუებს. შესაბამისად, ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტები გამოვლინდა, როგორც რძის სექტორის განვითარების პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტები.



შენიშვნა: წყვეტილი ხაზი გამოხატავს ჯაჭვში რძის ფხვნილის მიწოდების მიმართულებას

რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვში მთავარი მონაწილეები არიან ინტენსიური ფერმები, საოჯახო მეურნეობები, რძის შემკრები და გადამამუშავებლები, რომლებიც შემდგომ თავიანთ პროდუქტს აწვდიან ბაზრობებს, უზნის მაღაზიებს, კვების ობიექტებს, სასტუმროებსა და სუპერმარკეტებს. ძირითად მონაწილეებში ასევე აღსანიშნავია რძის პროდუქტების, მათ შორის, რძის ფხვნილის იმპორტიორები - სადისტრიბუციო კომპანიები,

რომლებიც რძის ფხვნილის იმპორტს ახორციელებენ¹³. ჯაჭვის დანარჩენი მონაწილეები, რომლებიც დამხმარე სერვისებს სთავაზობენ ძირითად მონაწილეებს, არიან: სახელმწიფო სააგენტოები, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, ლაბორატორიები, საკვების მიმწოდებლები, ვეტერინარები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები - ასოციაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

3.2.1.2 ჯაჭვის ძირითადი მონაწილეების დახასიათება

რძის პროდუქტების უმეტესობა მთაში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, იწარმოება საოჯახო მეურნეობების - ექსტენსიური ფერმების მიერ, რომლებიც კომერციალიზაციის დაბალი დონით გამოირჩევიან. IFAD-ის კვლევის თანახმად, ზოგადად, მთაში გამოიყოფა ორი სახეობის მწარმოებელი:

- ექსტენსიური ფერმები - არაკომერციული საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ტრადიციული მეთოდებით აწარმოებენ რძის პროდუქტებს. ისინი, ძირითადად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ადგილობრივ ჯიშებს იყენებენ. ასეთ ფერმაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო რაოდენობა 20 სულია. ზაფხულის პერიოდში (მაისი-ივნისი) ფერმერებს პირუტყვი აჰყავს მთის საძოვრებზე, სადაც ასევე აწარმოებენ რძის პროდუქტებს, რომლის მიწოდებაც შემდგომში ბარში ხდება. ამგვარი ფერმების რაოდენობა დაახლოებით 50 000 მთელი ქვეყნის მასშტაბით (IFAD, 2018);
- ინტენსიური ფერმები - ინდუსტრიული მწარმოებლები, ზოგიერთ შემთხვევაში, კერტიკალურად ინტეგრირებულები. ასეთი საწარმოების რაოდენობა საქართველოში, და მით უფრო მთაში შედარებით მცირეა, თუმცა წარმოდგენილია ზემოთ ნახსენებ ფუნქციურ რეგიონებში. ასეთი ფერმები, როგორც წესი, ხასიათდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშებით და განვითარებული საკვებწარმოების ბაზით. საქართველოს მერმევეობის ასოციაციის მონაცემების თანახმად, საქართველოში დაახლოებით 15 ინდუსტრიული (ინტენსიური) ფერმაა, რომელიც აერთიანებს 2600 სულ ძროხას. ასოციაციის მონაცემებით 2018 წელს ამ ფერმებმა აწარმოეს 22 მლნ ლიტრი და ამ ფერმების 1/3 მდებარეობს მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ახმეტა, წალკა, ახალქალაქი). აღსანიშნავია, რომ ამ ინდუსტრიულ ფერმებში ძროხის პროდუქტიულობა წელიწადში 7-დან 10 ტონამდე მერყეობს და საშუალოდ 8.8 ტონას შეადგენს, რაც 6-ჯერ აღემატება საქართველოს საშუალო მონაცემს.

აღსანიშნავია, რომ მე-5 ცხრილში ხსენებული მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში შინამეურნეობის 60%-ზე მეტი რძის სექტორშია ჩართული, გამოთავისია მხოლოდ თეთრიწყარო (44%) და ონი (31%) (მე-8 ცხრილი).

¹³ რძის ფხვნილის იმპორტიორები მთაში არ იმყოფებიან, თუმცა რძის ფხვნილის გამოყენება რძის პროდუქტების წარმოებაში ხდება როგორც დაბლობში, ასევე მთაში.

ცხრილი 8. რძის სექტორში ჩართული შინამეურნეობების რაოდენობა და წილი შინამეურნეობების მთლიან რაოდენობაში

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	რძის სექტორში ჩართული შინამეურნეობები	
		რაოდენობა	%
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	3289	44%
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	952	31%
	ლენტეხი	1033	70%
	წალკა	4097	77%
მარნეულის ფუნქციური რეგიონი	დმანისი	3772	68%
	ადიგენი	2984	66%
	ასპინძა	1781	62%
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ახალქალაქი	6362	67%
	ნინოწმინდა	4272	75%

წყარო: საქსტატი, 2019

რძის შემკრებები ფერმერებისგან აგროვებენ რძეს და შემდგომ აბარებენ რძის გადამამუშავებელს. აღსანიშნავია, რომ გადამამუშავებლების გარკვეული ნაწილი ფერმერებისგან თავადაც აგროვებს რძეს. გადამამუშავებლებს შორის გამოიყოფა ორი ჯგუფი:

- დაურეგისტრირებელი გადამამუშავებლები - საოჯახო მეურნეობები, რომლებიც აწარმოებენ ყველს, მაწონს, ნადუღსა და ხაჭოს, როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ისე გასაყიდად. სწორედ ასეთი მწარმოებლები დომინირებენ ყველის ბაზარზე. ისინი თავიანთ ნაწარმს ყიდიან შუამავლების მეშვეობით, როგორც ადგილობრივ ბაზრებზე, ასევე რეგიონსა და უმსხვილესი ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) ბაზრობებსა და უბნის მაღაზიებში. დაურეგისტრირებელი გადამამუშავებლების ნაწარმი შუამავლების/დისტრიბუტორების მეშვეობით ასევე ხვდება ლოკალურ კვების ობიექტებსა და სასტუმროებში;
- რეგისტრირებული გადამამუშავებლები - რძის გადამამუშავებელი შედარებით მსხვილი საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ რძეს, ყველს, არაჟანს, კარაქს, მაწონს, ხაჭოს და ძირითადად აწვდიან მსხვილ სუპერმარკეტებს (გუდვილი, კარფური, ორი ნაბიჯი, მადაგონი და ა.შ.) (მე-9 ცხრილი).

ცხრილი 9. რძის სექტორში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	რძის სექტორში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა	
		რეგისტრირებული	აქტიური
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	7	1
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	0	0
	ლენტეხი	0	0

მარნეულის ფუნქციური რეგიონი	წალკა	10	5
	დმანისი	7	1
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი	27	3
	ასპინძა	15	3
	ახალქალაქი	11	5
	ნინოწმინდა	25	11

წყარო: საქსტატი, 2019

მე-8 ცხრილში ჩანს, რომ ახალციხის ფუნქციური რეგიონი გამოირჩევა როგორც რეგისტრირებული, ისე აქტიური საწარმოების სიმრავლით, ხოლო ონსა და ლენტეხში საერთოდ არ ფიქსირდება რძის სექტორში რეგისტრირებული საწარმოები. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რძის პროდუქტები აქ დაურეგისტრირებელი მწარმოებლების - საოჯახო მეურნეობების მიერ იწარმოება.

საოჯახო მეურნეობები და ინტენსიური ფერმები რძის შემკრებებს, გადამამუშავებლებს, ბაზრობებსა და უბნის მაღაზიებს, ძირითადად, უკავშირდებიან შუამავლების მეშვეობით, რომლებიც დაურეგისტრირებელი, კერძო პირები არიან. გადამამუშავებლები კი თავისი ნაწარმის გასაღებას სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით ახორციელებენ.

რაც შეეხება გასაღების ბაზრებს, შერჩეული მუნიციპალიტეტები ადგილობრივი გასაღების ბაზრების სიმრავლით არ გამოირჩევიან. მხოლოდ ახალქალაქშია წარმოდგენილი სუპერმარკეტი, ხოლო ლენტეხში, ასპინძასა და ნინოწმინდაში არათუ სუპერმარკეტი, არამედ ბაზრობებიც არ არის წარმოდგენილი (მე-10 ცხრილი).

ცხრილი 10. სუპერმარკეტების ფილიალებისა და ბაზრობების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	სუპერმარკეტების რაოდენობა	ბაზრობების რაოდენობა
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	0	1
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	0	1
	ლენტეხი	0	0
მარნეულის ფუნქციური რეგიონი	წალკა	0	1
	დმანისი	0	1
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი	0	1
	ასპინძა	0	0
	ახალქალაქი	1	3
	ნინოწმინდა	0	0

წყარო: საქსტატი, 2019

მთაში წარმოებული რძის პროდუქტის გასაღების არხები განსხვავდება, მუნიციპალიტეტებისა და ფუნქციური რეგიონების მიხედვით. მაგალითად, ახალციხის ფუნქციურ რეგიონში წარმოებული რძის პროდუქტები, ძირითადად, თბილისის უმსხვილეს სუპერმარკეტებში იყიდება. თბილისი ასევე გასაღების მთავარი ბაზარია თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტში წარმოებული რძის პროდუქტებისთვის. თეთრიწყაროში წარმოებული პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზარია თბილისის სავაჭრო ობიექტები - ბაზრობები, უბნის მაღაზიები და ისეთი მსხვილი სუპერმარკეტები, როგორიცაა „ზღაპარი“, „ფრესკო“, „მადაგონი“. წალკაში წარმოებული პროდუქცია, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხელმისაწვდომია „გუდვილსა“ და „ორ ნაბიჯში“, ხოლო დმანისში მდებარე მეცხოველეობის ფერმა თანამშრომლობს ისეთ მსხვილ კომპანიებთან როგორიცაა, „სანტე“ და „სოფლის ნობათი“. რაც შეეხებათ ონსა და ლენტეხს, წარმოებული რძის პროდუქციის რეალიზება, ძირითადად, რეგიონის შიგნითვე ხდება, ხოლო ნაწილი ქუთაისის ბაზრობებზე იყიდება.

გასაღების მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს ადგილობრივი სასტუმროები, რომლებიც მარაგდება ადგილობრივი მწარმოებლების მიერ. აღსანიშნავია, რომ ხსენებული მუნიციპალიტეტებიდან მხოლოდ დმანისში არ არის რეგისტრირებული სასტუმრო, ან სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალება, ხოლო ადიგენსა (20) და ახალქალაქში (15) მათი რაოდენობა ყველაზე დიდია (მე-11 ცხრილი). მაღალმთიან რეგიონებში სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების უმრავლესობა დარეგისტრირებული არ არის.


ცხრილი 11. რეგისტრირებული სასტუმროებისა და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	რეგისტრირებული სასტუმროებისა და სხვ. მოკლევადიანი განთავსების საშუალებების რაოდენობა	
		რეგისტრირებული	აქტიური
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	5	2
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	8	7
	ლენტეხი	8	3
მარნეულის ფუნქციური რეგიონი	წალკა	5	2
	დმანისი	0	0
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი	20	18
	ასპინძა	6	5
	ახალქალაქი	15	8
	ნინოწმინდა	3	2

წყარო: საქსტატი, 2019

ჯაჭვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა რძის პროდუქტების იმპორტიორები. რძისა და რძის პროდუქტების იმპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება (ფიგურა 5). 2018 წელს საქართველოში რძის იმპორტმა 10557 ათასი ლიტრი შეადგინა, რაც 36%-ით აღემატებოდა 2017 წლის მაჩვენებელს. წინა წელთან შედარებით გაიზარდა რძის პროდუქტების იმპორტირებული რაოდენობაც (ფიგურა 6).

ფიგურა 6. რძისა და რძის პროდუქტების იმპორტი




წყარო: UNcomtrade, 2019

რძის პროდუქტების იმპორტიორები ფიზიკურად არ იმყოფებიან მაღალმთიან რეგიონებში, თუმცა, მჭიდრო კავშირი აქვთ გადამამუშავებლებთან და შუამავლებთან (სადისტრიბუციო კომპანიებთან), რომელთა მეშვეობითაც ისინი უკავშირდებიან რძის პროდუქტების მწარმოებლებს. მაგალითად, კომპანია პროდინვესტი (Prodinvest) სწორედ ასეთი იმპორტიორია.

მთელი ქვეყნის მასშტაბით მასობრივად ხდება აღდგენილი რძის (ე.წ. რძის ფხვნილის) გამოყენება რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაში. მე-7 ფიგურა ასახავს რძის წარმოებისა და რძის ფხვნილის იმპორტის დინამიკას 2014 წლიდან - ბოლო 4 წლის განმავლობაში რძის წარმოება მცირდება, ხოლო იმპორტირებული რძის ფხვნილის რაოდენობა იზრდება (ფიგურა 7).

ფიგურა 7. წარმოებული რძისა და იმპორტირებული რძის ფხვნილის რაოდენობა



წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტრო, 2019

3.2.1.3 დამხმარე სერვისები

ღირებულებათა ჯაჭვზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარე ფაქტორები ე.წ. დამხმარე სერვისების მიმწოდებლები, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო სააგენტოებს, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს, ლაბორატორიებს, საკვების მიმწოდებლებს, ვეტერინარებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს - ასოციაციებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს.

სახელმწიფო სააგენტოებთან მიმართებაში აღსანიშნავია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA). სწორედ ამ სააგენტოების საქმიანობაა ყველაზე ფართოდ გავრცელებული მთის რეგიონებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ACDA-ს რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავდა კაპიტალური ინვესტირებისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტებს. ასევე აღსანიშნავია „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა“, რომელსაც ასევე ACDA კურირებდა.

სახელმწიფო სააგენტოებს შორის ასევე აღსანიშნავია სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს), რომელიც არის სურსათის უვნებლობის მთავარი მაკონტროლებელი ორგანო და რეგულარულად ამოწმებს სასტუმროებს, საწარმოებს და კვების ობიექტებს. სეს არის

ვეტერინარული მომსახურების მთავარი მიმწოდებელი. სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი ვეტერინარი არის წალკისა (20) და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (19), ხოლო ყველაზე ნაკლები ონსა (3) და ლენტეხში (2) (მე-12 ცხრილი).

ცხრილი 12. ვეტერინარების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ვეტერინარების რაოდენობა მუნიციპალიტეტში
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	13
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	3
	ლენტეხი	2
მარნეულის ფუნქციური რეგიონი	წალკა	20
	დმანისი	14
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი	11
	ასპინძა	12
	ახალქალაქი	19
	ნინოწმინდა	15

წყარო: სურსათის ეროვნული სააგენტო, 2019

აღსანიშნავია, რომ რძის სექტორთან მიმართებაში ბოლო 10 წლის განმავლობაში მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, რომელიც არეგულირებს ამ სექტორს. ეს დადგენილებებია:

- „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესის“ შესახებ, №173, 25.06.2010;
- ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, №90, 7.03.2012;
- აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ, №417, 31.12.2013;
- ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ, №722, 26.12.2014;
- მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, №764, 31.12.2014;
- საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ, №327, 07.07.2015;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპებისა და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, №577, 10.11.2015.

გარდა ამ დადგენილებებისა, აღსანიშნავია რძის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1-ლი აგვისტოდან. იგი მიზნად ისახავს „რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას“. იგი განსაზღვრავს რძისა და რძის ნაწარმის განმარტებებს და მისი რეგულირების ობიექტს

წარმოდგენს ნედლი რძე და ნედლი ნაღები, სასმელი რძე და სასმელი ნაღები, რძემჟავა პროდუქტი, კარაქი, ყველი და ყველის პროდუქტი და რძის გადამამუშავების თანანაწარმი პროდუქტი (რძის ნაწარმის გადამამუშავებისას მიღებული თანმდევი პროდუქტი).

2017 წლის 1-ლი ივლისიდან რეგლამენტი შესული ცვლილებების თანახმად, აკრძალულია რძის ფხვნილისგან დამზადებულ პროდუქტზე ტერმინის „ყველის“ დარქმევა. გარდა ამისა, დარეგულირდა კარაქის საკითხიც და რეგლამენტის თანახმად დაუშვებელია, ეტიკეტზე ტერმინის „კარაქის“ გამოყენება, მათ შორის, ბიზნესოპერატორის საფირმო დასახელებაში, თუ პროდუქტის წარმოებისათვის გამოყენებულია მცენარეული ცხიმი ან სხვა ცხიმი, გარდა რძის ცხიმისა.

2019 წლის მარტიდან კი ამოქმედდა „ტექნიკური რეგლამენტი - „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების - სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულია სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები, რაც მიზნად ისახავს მომხმარებლის ინფორმირებულობის გაზრდას და მისი უფლებების დაცვას. ახალი რეგულაცია, ისევე როგორც დადგენილებები მომზადებულია ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ (DCFTA) შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებით და შემუშავებულია, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (გამოყენებულია ევროკომისიის რეგულაციები და დირექტივები: N1169/2011, N1333/2008, 1332/2008, 1334/2008, 2006/114, 2913/92, 2002/46, 2009/39) (სეს, 2019).

რაც შეეხება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს (ICC), ისინი წარმოდგენილია ყველა მუნიციპალიტეტში და ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. მათი როლი ასევე გამოიხატება სექტორში არსებული ტენდენციების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასებაში. ცენტრებს მჭიდრო კავშირი აქვთ მწარმოებლებთან. გარდა ICC-ის, ასევე, არსებობს კერძო საკონსულტაციო კომპანიები, როგორიცაა, მაგალითად სამცხე-ჯავახეთში მომუშავე სასოფლო საკონსულტაციო სამსახური (RAS).

ლაბორატორიები მნიშვნელოვანი როლია რძის პროდუქტების წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში. სულ საქართველოში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 11 ლაბორატორია ფუნქციონირებს. ამ 11 ლაბორატორიიდან 3 ფუნქციონირებს თბილისში, ქუთაისსა და ახალციხეში, ხოლო დანარჩენი 8 - გორში, მარნეულში, დუშეთში, გურჯაანში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ზუგდიდსა და ბათუმში. გარდა ამისა, ფუნქციონირებს რამდენიმე კერძო ლაბორატორია (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, 2019).

საკვების მიმწოდებლებს შორის აღსანიშნავია კომბინირებული საკვების შემდეგი ადგილობრივი მწარმოებლები - ნუტრიმაქსი, აგროქიზიცი, ინვეტი. რაც შეეხება საკვების იმპორტიორებს, აქ უნდა გამოიყოს კავკასიის გენეტეკა და სანო.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა რგოლი წარმოდგენილია მთიან რეგიონებში, თუმცა რძის სექტორთან მიმართებაში აღსანიშნავია პროფესიული სასწავლებლების - საზოგადოებრივი და პროფესიული კოლეჯების საქმიანობა. კერძოდ კი:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“, რომელიც ახალციხეში მდებარეობს და საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს ვეტერინარიის, სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მიმართულებით;
- პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“, რომელიც მდებარეობს ამბროლაურში და სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების პირობებს სთავაზობს სტუდენტებს.

აქვე აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ახალციხეში, სადაც ხელმისაწვდომია აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა. ეს პროგრამა მოიცავს მეცხოველეობის საფუძვლებისა და საკვებწარმოების სწავლებას.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი რძის კოოპერატივები. ასევე შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) საბაზრო ალიანსების პროექტი მეცხოველეობის დარგში სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით (მე-13 ცხრილი). მაგალითად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საერთოდ არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, ხოლო ბანკების რაოდენობა განსაკუთრებით მცირეა ლენტეხისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში.

ცხრილი 13. ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ბანკების რაოდენობა	მიკრო საფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	2	0
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	3	0
	ლენტეხი	2	0
მარნეულის ფუნქციური რეგიონი	წალკა	4	0
	დმანისი	3	0
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი	3	0
	ასპინძა	3	0
	ახალქალაქი	6	0
	ნინოწმინდა	3	0

წყარო: კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ოფიციალური ვებგვერდები

ასოციაციები, ბიზნესის მხარდამჭერი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე წარმოდგენილები არიან მთაში. მათი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივ წარმოებასა და სოფლად ცხოვრების გაუმჯობესებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მთიან რეგიონებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAG), რომელიც ენპარდის ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა. რძის სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე შერჩეული მუნიციპალიტეტებიდან ამჟამად მხოლოდ თეთრიწყაროსა და ახალქალაქში ფუნქციონირებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი, თუმცა, ასეთი ჯგუფის შექმნა იგეგმება წალკაში. რძის სექტორისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ვეტერინართა რეგიონული ასოციაციები (VRAS), რომელთა მთავარი მიზანია ქვეყანაში ვეტერინარული მომსახურების სრულყოფა, ვეტერინარ ექიმთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავება და მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფა.

რაც შეეხება ასოციაციებს, რძის სექტორში მომუშავე ასოციაციების არასრული ჩამონათვალი წარმოდგენილია ქვემოთ:

- საქრძე, რომელიც აერთიანებს რძის 40 გადამამუშავებელს;
- საქართველოს მერძევეთა ასოციაცია, რომელიც 14 ინტენსიურ ფერმას აერთიანებს;
- ყველის მწარმოებელთა გილდია, რომელიც ყველის 100-ზე მეტ მწარმოებელს აერთიანებს;
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, რომელსაც 3000-ზე მეტი წევრი ჰყავს;
- გუდის ყველის მწარმოებელთა ასოციაცია, რომელიც ახლახან დაარსდა და 5 წევრი ჰყავს;
- რძის მიმწოდებელთა ასოციაცია, რომელიც რძის 250 მწარმოებელს აერთიანებს;
- საქართველოს მეცხვარეთა ასოციაცია, რომელსაც 500 წევრი ჰყავს;
- თუში მწყემსების ასოციაცია, რომელსაც 70 წევრი ჰყავს.

ასოციაციების საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს და, შესაბამისად, მთიან რეგიონებსაც ფარავს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ასოციაციებისა, ასევე აღსანიშნავია შემდეგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

- მთის განვითარების ცენტრი, რომელიც სტეფანწმინდაში მდებარეობს. მისი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა მთის რეგიონების განვითარებაში. ასევე სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება მთაში, მათ შორის რძის ღირებულებათა ჯაჭვის;
- რაჭის მდგრადი განვითარების ასოციაცია, რომელიც ამბროლაურში მდებარეობს და მიზნად ისახავს ადგილობრივი მწარმოებლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას;
- კავშირი „სამყარო“, რომელიც ახალციხეში საქმიანობს და მიზნად ისახავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

3.2.1.4 სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია რძის პროდუქტების წარმოების ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი ფაქტორების შეფასება (მე-14 ცხრილი).

ცხრილი 14. რძის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

წარმოების ფაქტორები
ბუნებრივი რესურსები მთის მუნიციპალიტეტების უმეტესობა ხასიათდება მკაცრი კლიმატური პირობებით. ასევე აღსანიშნავია ცივბო რელიეფი. თუმცა ზოგიერთ მუნიციპალიტეტს ახასიათებს თბილი და ზომიერი ჰავა (თეთრიწყარო, დმანისი, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი). ალპური საძოვრები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია მეცხოველეობის სექტორის განვითარებისთვის, ასევე ხელმისაწვდომია მთის მუნიციპალიტეტებში (იხ. დანართი, ცხრილი A3).
ადამიანური რესურსები სამუშაო ძალასთან მიმართებაში, ზოგადი ტენდენციაა მთიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია ეს ტენდენცია ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტებში. ნიშანდობლივია ის, რომ მთაში დარჩენილი მოსახლეობის უმეტესობა (60-70%) საპენსიო ასაკისაა. არის ბევრი დაცლილი სოფელი, ხოლო ზოგ სოფელში ზამთრის განმავლობაში სულ რამდენიმე ადამიანი ცხოვრობს. ეს ფაქტი უარყოფითად აისახება მეცხოველეობის სექტორის განვითარებაზე, რადგან ეს სექტორი შრომა-ინტენსიურია და, შესაბამისად, ასაკოვანი სამუშაო ძალა ნაკლებად პროდუქტიულია ამ სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მაგ., წალკა) პირიქით მოხდა, გურიიდან და სამეგრელოდან ოჯახების ჩასახლება და რძის საწარმოებში მათი ჩართვა, ყველა მუნიციპალიტეტში გამოვლინდა კვალიფიციური მუშახელის, ვეტერინარებისა და ტექნოლოგების დეფიციტი.
კაპიტალი მართალია საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები და სახელმწიფო პროგრამები აუმჯობესებს კაპიტალზე ხელმისაწვდომობას, კომერციულ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ დაბალია. სასესხო საშუალებებზე მაღალი სარგებლის განაკვეთი და ქონებით უზრუნველყოფის მოთხოვნა ამცირებს ადგილობრივი მწარმოებლების ხელმისაწვდომობას კაპიტალზე.
გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა რაც შეეხება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მე-6 ცხრილში ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტების უმეტესობა (ონი, ლენტეხი, დმანისი, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი და ნინოწმინდა) არის სასაზღვრო ზონა და ამ მუნიციპალიტეტებიდან მიგრაციის შემცირება ძალზე მნიშვნელოვანია, ეროვნული

უსაფრთხოების თვალსაზრისით. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მხრივ, ცენტრალური გზები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ხოლო სოფლებში შიდა გზები საჭიროებს რეაბილიტაციას. ასეთ გზებზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ნელი სვლით და აზიანებს ტრანსპორტის სავალ ნაწილს, რაც, თავის მხრივ, ზრდის ადგილობრივი რძის საწარმოების დანახარჯებს. ცალკე უნდა აღინიშნოს მთის საძოვრებზე მიუვალი გზები, რაც ზაფხულში აფერხებს რძის ჩამოტანას მთიდან. იმის გამო, რომ ზამთარში გზა იკეტება, ყველის მწარმოებლებს უწევთ მთაში დარჩენა.
სხვა ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი ლენტეხში. გაზიფიცირებული არ არის არც ლენტეხი და არც მასში შემავალი სოფლები, ხოლო წყალი და ელექტროენერგია არ მიეწოდება რამდენიმე სოფელს. რაც შეეხება ახალციხის ფუნქციური რეგიონის მუნიციპალიტეტებს, აქ არსებობს ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა, რის გამოც ვერ ხერხდება ყველის წარმოების სტანდარტების დაცვა. გამოკითხული რძის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ გამოვლინდა გაზიფიცირებისა და კომუნიკაციების საჭიროება.
ტექნოლოგიები რძის პროდუქტების წარმოება ხდება ტრადიციული მეთოდებით, თუმცა იწარმოება ყველის ბევრი სახეობა, განსაკუთრებით ახალციხის ფუნქციურ რეგიონში. საწველი აპარატების გამოყენება ხდება ინტენსიურ ფერმებში, ხოლო საოჯახო მეურნეობები აპარატებს არ იყენებენ. რძის შეგროვება შესაბამისი აღჭურვილობით (მანქანა-მაცივრებით) ასევე გამოწვევას წარმოადგენს შემკრები და გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. შემკრები მანქანების უმეტესობა არ არის სათანადოდ აღჭურვილი. რძის გადამამუშავებელი ქარხნების უმეტესობა სრულად არ არის აღჭურვილი საიმისოდ, რომ, მაგალითად მაღალი ცხიმის რაოდენობის შემცველი რძე გადამამუშავოს.
ინოვაციები სექტორში ინოვაციების გამოყენება კვლევის დროს არ დაფიქსირებულა არც ერთ მუნიციპალიტეტში. საბაზრო ფაქტორები (ბაზრის ზომა, მომხმარებლის მახასიათებლები, პროდუქციის გასაღების გზები) რძესა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნა მაღალია. რძის პროდუქტების მომხმარებლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვებისა და მოზარდების სეგმენტი, სადაც რძის პროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი ტრადიციულად მაღალია. რძის პროდუქტების ბაზარზე მაღალია რძის ფხვნილიდან წარმოებული პროდუქტების წილი და რძის ფხვნილის იმპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. შერჩეულ მუნიციპალიტეტებში იწარმოება ყველა სახეობის რძის პროდუქტი: ყველი, კარაქი, ნაღები, ნადული, მაწონი, არაჟანი და ა.შ. რძის პროდუქტებს შორის საქართველოში ყველაზე პოპულარული ნაწარმი ყველია. ზემოთ განხილულ რეგიონებში იწარმოება ყველის შემდეგი სახეობები - ქარხნული, იმერული, სულგუნი, სომხური (ლორი - ახალქალაქსა და ნინოწმინდაში), შებოლილი, შვეიცარული (ახალქალაქი), ქართული პარმეზანი („ხიზაბევრული ბატისტა“).

რაც შეეხება ფასებს, რძის ფასი სეზონურად მერყეობს 0.7 ლარიდან 1.25 ლარამდე. ყველზე ფასები საშუალოდ შემდეგნაირად გამოიყურება: ქარხნული - 8.5 – 9 ლ/კგ, იმერული - 6 – 8 ლ/კგ; სულგუნი - 8 – 11 ლ/კგ; დაწნული - 10 ლ/კგ; შებოლილი - 15 ლ/კგ; სომხური (ლორი) – 10 – 11 ლ/კგ; შვეიცარული - 30 ლ/კგ; პარმეზანი - 35 – 40 ლ/კგ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შერჩეული მუნიციპალიტეტები ადგილობრივი გასაღების ბაზრების სიმრავლით არ გამოირჩევიან. ახალციხის ფუნქციურ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტებისთვის გასაღების ბაზარს ახალციხე წარმოადგენს, თეთრიწყაროს, დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებისთვის კი - თბილისი. ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში რძის პროდუქტები, ძირითადად, საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება, ხოლო ნამატის გასაღება ხდება ქუთაისში.

რაც შეეხება ახალციხის ფუნქციური ზონას, აქ მწარმოებლებს ჰყავთ მუდმივი მომხმარებელი, როგორც კორპორაციული, ისე კერძო. რძის ნაწარმის მოწოდება მყიდველისთვის ხდება როგორც პირდაპირ მწარმოებლის მიერ, ასევე შუამავლის მეშვეობით. გარდა ამისა, ახალციხის ფუნქციურ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მწარმოებლები თავის ნაწარმს პირდაპირ აწვდიან სასტუმროებსა და სანატორიუმებს ბორჯომში, ბათუმსა და ქობულეთში (მაგ., საწარმო „ჯავახეთი“ ნინოწმინდიდან).

ასევე აღსანიშნავია ის, რომ შპს „ალპურ ჯავახეთს“ (ნინოწმინდა) წარმოებული პროდუქციის 15% გააქვს ექსპორტზე ამერიკასა და ისრაელში. კომპანია „ვაიოს ველი 2017“ კი თავის ნაწარმს ყიდის ვებგვერდიდან soflidan.ge, რაც მარკეტინგისა და გასაღების კუთხით საკმაოდ ინოვაციური მიდგომაა რეგიონში.

სხვა სექტორები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია შერჩეულ სექტორთან

საკვებწარმოება და ვეტერინარია პირდაპირ დაკავშირებულია რძის სექტორთან. აღსანიშნავია, რომ ორივე მიმართულება ამ ეტაპზე სუსტადაა განვითარებული, ამის გამო სექტორში პროდუქტიულობა დაბალია. ეს, თავის მხრივ, იწვევს სეზონურობას რძის წარმოებაში და მაღალ დამოკიდებულებას იმპორტირებულ რძის ფხვნილზე. ვეტერინარიის კომპონენტს, ძირითადად, სეს-ი ფარავს, ხოლო კერძო ვეტსექტორი განუვითარებელია. ასევე, აღსანიშნავია ფერმერების დაბალი მზაობა იმისთვის, რომ ცხოველთა დაავადებების პრევენციულ ღონისძიებებზე გასწიონ დანახარჯი (CARD & GFA, 2018).

ახალგაზრდა ვეტერინარების რაოდენობა ძალზე მცირეა და ახალგაზრდების მხრიდან ამ პროფესიაზე მოთხოვნა დაბალია. ის ახალგაზრდები, რომლებიც ვეტერინარის პროფესიას ეუფლებიან, სწავლის დასრულების შემდეგ ნაკლებად არიან დაინტერესებულნი სოფლებში მუშაობით და საქმდებიან ვეტერინარულ მაღაზიებსა და დარგში მომუშავე კერძო კომპანიებში, ან ვეტერინარულ კლინიკებში (PIN, 2015). აქედან გამომდინარე, იქმნება ახალგაზრდა სპეციალისტების დეფიციტი, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევია მთაში, საიდანაც ახალგაზრდების მიგრაცია ზოგადად მაღალია.

რძის წარმოება პირდაპირ დაკავშირებულია აგროტურიზმთან, რომლის ერთ-ერთი სახეობა ფერმერული ტურიზმია. სასტუმროებისთვის და განთავსების მსგავსი ობიექტებისთვის, ისევე როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი რძის პროდუქტებით მომარაგების საკითხი. თუმცა, წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხისა და არასტაბილური/არასაკმარისი მიწოდების გამო, სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები იძულებული არიან მომარაგდნ შემოტანილი პროდუქციით. რაც შეეხება აგროტურიზმის ნიშას, ვიზიტორებს აინტერესებთ ადგილობრივი ფერმერების ყოფაცხოვრება და საქმიანობის წესი. ამგვარად, ადგილობრივი ექსტენსიურ ფერმებს - არაკომერციულ საოჯახო მეურნეობებს, რომლებიც ტრადიციული მეთოდებით აწარმოებენ რძის პროდუქტებს, საკუთარი ძირითადი საქმიანობის

პარალელურად უზრუნველყოფს შესაძლებლობა, მიიღონ დამატებითი შემოსავალი ტურიზმიდან.

მმართველობა (სახელმწიფო რეგულაციები და სტანდარტები)

ბოლო 10 წლის განმავლობაში რძის სექტორში გამკაცრებული რეგულაციების მიუხედავად, ძირითად გამოწვევად რჩება ამ რეგულაციების აღსრულება. სუსტი აღსრულება კი გამოიხატება შემდეგში:

1. ფიზიკური პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არარსებობა;
2. იურიდიული პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის ნაკლებობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მომხმარებელს სავაჭრო ობიექტებში შეიძლება შეხვდეს ვადაგასული ან საკვებად უვარგისი რძის პროდუქტი;
3. იურიდიული პირების მიერ ასევე დგას ეტიკეტირების პრობლემა, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, ეტიკეტზე დატანილი ინფორმაცია ბუნდოვნად ან არასრულყოფილია და მომხმარებელი ვერ განსაზღვრავს არის თუ არა რძის ნაწარმი ნედლი რძიდან წარმოებული.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს მომხმარებლის დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აკისრია მას რეგლამენტის აღსრულების პროცესში და როგორ უნდა მოიქცეს, სურსათის უვნებლობის პრაქტიკის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. დღეისათვის არსებული კანონმდებლობა ფორმალურად არეგულირებს რძის სექტორში დარეგისტრირებულ ბიზნესოპერატორებს, მაშინ, როცა საქართველოში წარმოებული რძის 97% იწარმოება საოჯახო მეურნეობების მიერ (საქსტატი, 2019). შესაბამისად, მათზე რეგულირება არ ვრცელდება და რძის პროდუქტების წარმოება, უმეტესწილად, სურსათის უვნებლობის პრაქტიკის დარღვევით ხდება.

სახელმწიფო პროექტებთან მიმართებაში, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სააგენტოების (მაგ. APMA) მხარდაჭერით ბევრი პროექტი წარმატებით განხორციელდა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო პროგრამები ამოვარდნილია მთის კონტექსტიდან. გამოცხადებული პროგრამების ვადები და კონკურსის პირობები არ ითვალისწინებს დოკუმენტაციის შეგროვებასთან დაკავშირებულ სირთულეებს (განმცხადებლის ადგილმდებარეობა, ნოტარიუსის, ბუღალტრულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა მთაში და ა.შ.) და ხშირ შემთხვევაში, კონკურსზე განაცხადის შეტანა მთავრდება მანამ, სანამ აპლიკანტი ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას მოახერხებს. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა თბილისიდან შორს მდებარე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის (მაგ.ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები).

3.2.1.5 SWOT ანალიზი

მთაში რძის პროდუქტების წარმოება თავისებურებებით ხასიათდება, რომელთა ნაწილი ხელს უწყობს ან უშლის სექტორის განვითარებას. მთაში რძის პროდუქტების წარმოების სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები შეჯამებულია მე-15 ცხრილში.

ცხრილი 15. რძის სექტორის SWOT ანალიზი

ძლერი მხარეები	სუსტი მხარეები
საწარმოო ფაქტორები: • მეცხოველეობის სექტორის ტრადიციულობა მთისთვის, რაც განაპირობებს მთის რეგიონებში დარგში საქმიანობის გამოცდილებისა და ცოდნის არსებობას; • სამოვრებზე ხელმისაწვდომობა (მათ შორის, ალპური სამოვრები); • მეცხოველეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები; • თბილისთან სიახლოვე (დმანისი, თეთრიწყარო, წალკა).	საწარმოო ფაქტორები: • საკვები ბაზის განუვითარებლობა; • ადგილობრივი ჯიშების დაბალი გენეტიკური პოტენციალი და ჯიშების დაკნინება; • ვეტერინარების ნაკლებობა; • მცირემიწიანობა და მიწის ფრაგმენტაცია; მიწის ბაზრის განუვითარებლობა; • ციცაბო რელიეფი (მაგ., ონი, ლენტეხი) და მკაცრი კლიმატური პირობები; • მექანიზაციაზე, განსაკუთრებით მცირე ტექნიკაზე, შეზღუდული ხელმისაწვდომობა; • არაგაზიფიცირებული ქალაქები და სოფლები (მაგ., ლენტეხი); • სოფლებს შორის გაუმართავი შიდასატრანსპორტო ინფრასტრუქტურა¹⁴; • მთის სამოვრებზე საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. სხვა სექტორებთან კავშირი: • სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის რძის პროდუქტებით სუსტი მომარაგება. მმართველობა: • რძის პროდუქტების მწარმოებლებზე სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის ნაკლებობა; • სახელმწიფო პროგრამების შეუსაბამობა მთის

¹⁴ რძის შეგროვების პროცესში გზის გაუმართაობა იწვევს დროისა და საწვავის ხარჯს, აუარესებს რძის ხარისხს, იწვევს ტრანსპორტის ცვეთას და ა.შ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ აღინიშნა სამცხე-ჯავახეთში, შემდეგ მიმართულებებზე: სოფ. გოგაშენი, სამსარი, ბეჟანი, ალთუმანი, ოლავერდი, კუმურდო - ახალქალაქი; სოფ. სპასოვკა, კასელოვკა, არლოვკა, თორია, ეშტია, აბული, თახჩა - ნინოწმინდა.

	კონტექსტთან.
შესაძლებლობები	საფრთხეები
საბაზრო ფაქტორები: • მოსახლეობის მხრიდან მაღალი მოთხოვნა ადგილობრივ რძის პროდუქტზე - იმპორტის ჩანაცვლება; • ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში რძის ნაწარმით ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებში; • რძის პროდუქტების სახეობების დივერსიფიკაცია. სხვა სექტორებთან კავშირი: • აგროტურიზმის განვითარება მეცხოველეობის ექსტენსიური და ინტენსიური ფერმების გამოყენებით; • ბიო და ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქტის წარმოება. მმართველობა: • სოფლის მეურნეობაში, მათ შორის რძის სექტორში, სახელმწიფო პროგრამებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების სიმრავლე.	საწარმოო ფაქტორები: • მოსახლეობის მიგრაცია მთიდან და შედეგად შრომისუნარიანი მოსახლეობის სიმწირე; • ბუნებრივი კატაკლიზმები (მეწყერი, დიდთოვლობა) და კლიმატის ცვლილება; • დაავადებების გავრცელება. საბაზრო ფაქტორები: • სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების გაუარესება. მმართველობა • პოლიტიკური არასტაბილურობა; • სასაზღვრო მდებარეობასთან დაკავშირებული საფრთხეები.

3.2.1.6 დასკვნები და რეკომენდაციები

მთაში რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვზე დაკვირვებით და ამ სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ რძის პროდუქტების წარმოება მთაში მცხოვრები მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობაა, თუმცა, მოსახლეობის გადინების გამო, ამ დარგის განვითარება მომავალში საფრთხის წინაშე დგას.

მთაში მეცხოველეობის ფერმების უმეტესობა დაფუძნებულია საოჯახო მეურნეობების ბაზაზე და ადგილობრივი ჯიშების მწარმოებლურობა დაბალია. ამით არის განპირობებული

რძის დეფიციტის არსებობა და რძის ფხვნილის დიდი რაოდენობით იმპორტი. გარდა იმისა, რომ ადგილობრივად წარმოებული რძის რაოდენობა მცირეა და ვერ აკმაყოფილებს საწარმოების მოთხოვნას რძეზე, ის ასევე, ხშირ შემთხვევაში, ვერ აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის სტანდარტებსაც.

მთაში წარმოებული რძის უმეტესი ნაწილი გადამამუშავდება საოჯახო მეურნეობების მიერ და შედარებით მცირე ნაწილი რეგისტრირებული რძის საწარმოების მიერ. მთაში იწარმოება ყველა ტიპის რძის პროდუქტი და მისი გასაღება ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სურსათის უვნებლობის გამკაცრებულ;ი სტანდარტებიდან გამომდინარე და მომავალში სექტორის განვითარების პოტენციალის სრულად ათვისებისთვის, წარმოების ფაქტორებთან მიმართებაში რეკომენდებულია:

- ფერმერული მეურნეობების გამსხვილება კოოპერატივების ან ფერმერთა გაერთიანების სხვა ფორმების მხარდაჭერით, რათა მოხდეს წარმოების, ინვესტიციებისა და პროდუქტიულობის ზრდა მასშტაბის ეკონომიურობის ხარჯზე;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ელექტრომომარაგებისა და გაზიფიცირების უზრუნველყოფა იმ სოფლებში, რომლებიც გამოირჩევიან რძის პროდუქტების დიდი რაოდენობით წარმოებით (ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განსაკუთრებით);
- რძის შემკრები და გადამამუშავებელი საწარმოებისთვის მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. რძის შემკრები და გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება მაგალითად რაჭა-ლეჩხუმში, სადაც რძის შემკრები და/ან გადამამუშავებელი საწარმოები რეგისტრირებული არ არის;
- მთიან რეგიონებში მომუშავე ვეტერინარებისთვის ფინანსური სტიმულების შეთავაზება;
- პროფესიული განათლებისა და ტექნიკური ტრენინგების ხელმისაწვდომობის გაზრდა და პროფესიული განათლების წახალისება;
- საკვებწარმოების განვითარებისთვის მცირე მექანიზაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განვადების ან ლიზინგის მეშვეობით;
- ინოვაციების დანერგვა სექტორში. მაგალითად, ისეთი ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოო ციკლის განვითარება, რომელიც გულისხმობს რძის გადამამუშავების ნარჩენების (შრატი) გამოიყენებას შინაური ცხოველების გამოსაკვებად (მაგ., ღორების). ასევე ბიოჰუმუსის წარმოებას და სასუქად გამოყენებას, ხოლო სასუქების ნარჩენების გამოიყენებას სათბურებში ბოსტნეულის წარმოებისთვის;

ბაზრის განვითარებისა და დივერსიფიკაციის მიმართულებით რეკომენდებულია:

- შეიქმნას ასოციაციები ან კოოპერატივები, რომლებიც მოახდენენ ფუნქციურ რეგიონში არსებული სასტუმროებისა და რესტორნების იდენტიფიცირებას და რძის პროდუქტების მწარმოებლებთან მათ დაკავშირებას;
- მტაში დამზადებული, ყველის ტრადიციული სახეობებისთვის ბრენდის შექმნა;
- ქართული ტრადიციული ყველის ექსპორტის ხელშეწყობა;

- მეცხოველეობის ფერმების ჩართვა აგროტურიზმში - კოტეჯებში ან ფერმერთა სახლებში იმ ტურისტების განთავსება, რომლებსაც აინტერესებთ ფერმაში მუშაობა და ფერმერული ცხოვრების გამოცდილების გაზიარება;
- სადეგუსტაციო ადგილების მოწყობა რძის საწარმოების ეზოში, რათა ტურისტმა არა მხოლოდ რძის ნაწარმი გასინჯოს, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (მაგ. ღვინო და თაფლი);

ვინაიდან მმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღირებულებათა ჯაჭვში, მმართველობის მიმართულებით რეკომენდებულია:

- რძის ფხვნილის გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრება და კანონმდებლობის დახვეწა, რეგისტრირებული რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლების შემთხვევაში, რათა ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე მომხმარებელს შეეძლოს იმის გარკვევა, არის თუ არა რძესა და რძის ნაწარმში რძის ფხვნილი გამოყენებული;
- საოჯახო მეურნეობებზე კონტროლის გამკაცრება და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა. საოჯახო მეურნეობებისთვის სხვა ალტერნატივების შეთავაზება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ აწარმოებენ რძის პროდუქტებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვით;
- აგრარული პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული პროექტების ადაპტირება მთის კონტექსტში (მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა და ა.შ.);
- მიწის იჯარით გაცემის საკითხის დარეგულირება და იჯარით აღების მსურველი ფერმერებისთვის გაფართოების შესაძლებლობის ხელშეწყობა;
- მთის საძოვრების მენეჯმენტის გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის განვითარება, რძისა და რძის პროდუქტების წარმოების განვითარების ხელშეწყობისა და ხარჯების დაზოგვის მიზნით;

3.2.2 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები

ისევე როგორც რძის პროდუქტების წარმოება, ტურიზმიც ერთ-ერთი წამყვანი სექტორია მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის. ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობები განვითარებულია ფაქტობრივად ყველა მაღალმთიან მუნიციპალიტეტში, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების დიდი რაოდენობა მთაში. სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებები გამოვლინდა პრიორიტეტულ სექტორად შემდეგი ფუნქციური რეგიონებისა და მათში შემავალი შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის (მე-16 ცხრილი):

ცხრილი 16. მუნიციპალიტეტებისა და შესაბამისი ფუნქციური რეგიონების სია

ფუნქციური რეგიონები	მუნიციპალიტეტები
---------------------	------------------


თბილისის ფუნქციური რეგიონი	ყაზბეგი
ბორჯომის ფუნქციური რეგიონი	ბორჯომი
თელავის ფუნქციური რეგიონი	ახმეტა
ზუგდიდის ფუნქციური რეგიონი	მესტია
ბათუმის ფუნქციური რეგიონი	ქედა შუახევი ხულო

ზემოთ ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების ღირებულებათა ჯაჭვს სხვადასხვა თავისებურება ახასიათებს, რაც განპირობებულია მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობით, ბუნებრივი პირობებით, ადგილზე არსებული ინფრასტრუქტურითა და სერვისების სიმრავლით, საწარმოების ზომითა და საქმიანობის ფორმით. აღნიშნული მუნიციპალიტეტებიდან, **ყაზბეგის, ბორჯომისა და მესტიის** მუნიციპალიტეტებში წარმოდგენილია სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების ყველა ტიპი: სასტუმროები, სასტუმრო სახლები, საოჯახო სასტუმროები და მოკლევადიანი განთავსების ადგილები, ხოლო **ახმეტის** მუნიციპალიტეტში, კერძოდ თუშეთში უმეტესად წარმოდგენილია დაბალი კლასის სასტუმროები და სასტუმრო სახლები. **ქედასა და შუახევის** მუნიციპალიტეტებში წარმოდგენილია მხოლოდ საოჯახო სასტუმროები და ისიც მცირე რაოდენობით. რაც შეეხება **ხულოს** მუნიციპალიტეტს, იქ წარმოდგენილია საოჯახო სასტუმროები და რამდენიმე სასტუმრო. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში ეს სექტორი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება და, შესაბამისად, განსხვავებული შესაძლებლობებითა და გაოწვევებით ხასიათდება.

3.2.2 ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა

სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების ღირებულებათა ჯაჭვი მთაში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი (ფიგურა 8):

ფიგურა 8. სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების ღირებულებათა ჯაჭვი



ჯაჭვში მთავარი მონაწილეები არიან ტურისტები, ტურისტული კომპანიები სააგენტოებისა და ტუროპერატორების სახით, ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, სატრანსპორტო კომპანიები (ინდივიდები), სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების მომარაგების/დისტრიბუციის კომპანიები, სასტუმროები და განთავსების ადგილები, რომლებიც სთავაზობენ ღამის გათევას, კვებას და სხვა დამატებით მომსახურებას. ჯაჭვში ასევე ირიბად მონაწილეობს სხვადასხვა კომპანია, რომლებიც დამატებით მომსახურებას სთავაზობენ ვიზიტორებს, მაგალითად, შიდა ტურებს, გასტრონომიულ მომსახურებას, გართობას, დასვენებას და ასე შემდეგ.

ჯაჭვის დანარჩენი მონაწილეები, რომლებიც დამხმარე სერვისებს სთავაზობენ ძირითად მონაწილეებს, არიან: ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო მარეგულირებელი და მაკონტროლებელი დაწესებულებები; არასამთავრობო ორგანიზაციები; საგანმანათლებლო დაწესებულებები; საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის ობიექტები; საზოგადოებრივი უსაფრთხოება და გადაუდებელი დახმარება; გართობისა და დასვენების ობიექტები; ფრენშიაზინგული, ბრენდული სახელწოდების მიმნიჭებელი, საკონსულტაციო, ხარისხის მართვის და სერტიფიცირების კომპანიები; ინფრასტრუქტურის განვითარება და კომუნალური მომსახურება; კულტურული ღონისძიებების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზატორები; ადგილობრივი ფერმერები და შინამეურნეობები.

3.2.2.1 ჯაჭვის ძირითადი მონაწილეების დახასიათება

გამოვლენილ მუნიციპალიტეტებში გვხვდება ყველა ტიპის განთავსების ადგილები, კერძოდ: სასტუმროები, სასტუმრო სახლები („გესტჰაუზები“), საოჯახო სასტუმროები და მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილები.

- სასტუმროებიდან გვხვდება როგორც დაბალი კლასის ბიუჯეტური, ისე საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროები, მათ შორის საერთაშორისო ბრენდებიც, რომელთა ოთახების რაოდენობა 21 ნომერზე მეტია. ბრენდული, მაღალი კლასის სასტუმროები წარმოდგენილია მხოლოდ ყაზბეგის, ბორჯომისა და ხულოს (მიმდინარე ინვესტიცია) მუნიციპალიტეტებში. მათი წილი მნიშვნელოვნად დაბალია სხვა ტიპის განთავსების ადგილებთან შედარებით და, ძირითადად, გვხვდება ზამთრის, სამთო-სათხილამურო კურორტებზე. დაბალი და საშუალო კლასის სასტუმროები გვხვდება ყაზბეგის, ბორჯომისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში და ფეხს იკიდებს ხულოს მუნიციპალიტეტშიც (გოდერძი).
- სასტუმრო სახლები, რომლებსაც 20-ზე ნაკლები ოთახი აქვთ, გვხვდება ყველა მუნიციპალიტეტში, თუმცა დიდი რაოდენობით სასტუმრო სახლები წარმოდგენილია ყაზბეგის (გუდაური), ბორჯომის (ბაკურიანი) და მესტიის მუნიციპალიტეტებში. გესტჰაუზები ჰიბრიდული ტიპის, მცირე ზომის განთავსების საშუალებებია, რომლებიც მიეკუთვნება ბიუჯეტური სასტუმროების კატეგორიას და სტუმრებს სთავაზობენ საწოლს და საუზმეს (B&B). შესაძლებელია ორჯერადი და სამჯერადი კვებაც. განთავსების საშუალება მდებარეობს მეპატრონის სახლისგან მოშორებით და განკუთვნილია სტუმრების მისაღებად.
- საოჯახო სასტუმროები წარმოადგენს ჰიბრიდული ტიპის, მცირე ზომის სასტუმროებს, რომლებიც მოიაზრებიან ბიუჯეტურ სასტუმროსა და კერძო სახლებს შორის და სტუმრებს სთავაზობენ საწოლს და საუზმეს (B&B). შესაძლებელია ორჯერადი და სამჯერადი კვებაც. სტუმრები ცხოვრობენ განთავსების მფლობელების გვერდით. მსგავსი განთავსების საშუალებები ხშირია მოცემულ მუნიციპალიტეტებში, თუმცა დიდი რაოდენობით მაინც გვხვდება საკურორტო ზონებში. ოთახების რაოდენობა საშუალოდ 4-10 ნომრამდე მერყეობს.
- მოკლევადიან საცხოვრებელ ადგილებში შედის კერძო სახლები, ვილები, კოტეჯები, ბინები და აპარტამენტები, რომლებსაც, ძირითადად, სეზონურად აქირავებენ განთავსების მფლობელები. მომსახურებაში არ შედის საუზმე. ოთახები მოწყობილია

სამზარეულო კუთხით, სადაც დამქირავებელს შეუძლია მოამზადოს ან/და შეინახოს მზა საკვები. მსგავსი ობიექტები მეტწილად წარმოდგენილია ყაზბეგისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. სტატისტიკური მონაცემები მოკლევადიან განთავსების საშუალებებთან დაკავშირებით არ არსებობს.

- დასასვენებელ და საკემპინგე ზონებში შედის მუნიციპალურ ან კერძო საკუთრების ტერიტორიაზე არსებული ტურისტულად მიმზიდველი ადგილები, ბუნებაში განთავსების და ღამის თევსთვის. გამოვლენილ მუნიციპალიტეტებში ყველგან დასახელდა ასეთი ზონების არსებობა.

მე-17 ცხრილი აერთიანებს საქსტატის მონაცემებს, რეგისტრირებული და აქტიური სასტუმროებისა და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების შესახებ¹⁵. არსებული სტატისტიკური მონაცემებით ვერ დგინდება, რა რაოდენობის და რა ტიპის განთავსების ადგილებია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში. განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიან საოჯახო სასტუმროები და მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილები, ვინაიდან მათი უმრავლესობა არ არის დარეგისტრირებული.

ცხრილი 17. რეგისტრირებული და აქტიური სასტუმროებისა და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტები	რეგისტრირებული სასტუმროებისა და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების რაოდენობა	
		რეგისტრირებული	აქტიური
თბილისი	ყაზბეგი	47	31
ბორჯომი	ბორჯომი	87	48
თელავი	ახმეტა	35	11
ზუგდიდი	მესტია	105	17
ბათუმი	ქედა	18	4
	შუახევი	16	8
	ხულო	17	3

წყარო: საქსტატი, 2019

სასტუმროებთან თანამშრომლობა მიმზიდველია ტურისტული კომპანიებისთვის, რომლებსაც მოჰყავთ საერთაშორისო ვიზიტორთა ჯგუფები, სჭირდებათ მომსახურების მაღალი ხარისხი და განთავსების ადგილების დიდი რაოდენობა. ამ შემთხვევაში, ტურისტული კომპანიები თავად აკეთებენ ვიზიტორების ტრანსფერებს. გარდა ამისა, სასტუმროები დამოუკიდებლადც ცდილობენ ვიზიტორების მოზიდვას.

¹⁵ ცალ-ცალკე ინფორმაციის წარმოდგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ზოგ მუნიციპალიტეტში ორივეს შესახებ ციფრები არ მოიპოვება.

რაც შეეხება სასტუმრო სახლებს, საოჯახო სასტუმროებს და მოკლევადიან განთავსების ადგილებს, ისინი არ თანამშრომლობენ ტურისტულ კომპანიებთან და საკუთარი ძალებით ცდილობენ მოიზიდონ მომხმარებლები. ვიზიტორების ძირითადი ნაწილი თავად პოულობს ტრანსპორტირების საშუალებებს სასტუმრომდე მისასვლელად. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტაქსის მძღოლებიც უწევენ რეკომენდაციას ამა თუ იმ სასტუმროს და ვიზიტორი მიჰყავთ იმ სასტუმროში.

ჯაჭვში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც მდებარეობს მუნიციპალურ ცენტრებში, აეროპორტებში, ტურისტულად ხალხმრავალ ადგილებში. ისინი ვიზიტორებს ურჩევენ და ინფორმაციას აწვდიან, როგორც ტურისტული მარშრუტების, ღირსშესანიშნაობების, ასევე სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმა (მაგ., booking.com, hotels.com), რომელიც სასტუმროებს და განთავსების მსგავს ობიექტებს საშუალებას აძლევს დარეგისტრირდნენ, განათავსონ ოთახები, გაყიდონ ნომრები და აკონტროლონ რეზერვაციები. აღსანიშნავია, რომ მთაში მდებარე სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების უმეტესობა აქტიურად იყენებს ამ პლატფორმებს.

ჯაჭვის ძირითად მონაწილეებში ასევე შედის სატრანსპორტო მომსახურების კომპანიები. მთაში განსაკუთრებით აქტუალურია კერძო პირების სატრანსპორტო მომსახურება და ასევე ავტომობილების გაქირავება ვიზიტორზე. მსგავსი მომსახურება ხელმისაწვდომი და მოთხოვნადია მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების უმეტესობაში.

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროებს ხშირად აქვთ ტრანსპორტირების სერვისი, ვიზიტორი, ძირითადად, იყენებს სხვადასხვა სახის ტრანსპორტს სასტუმრომდე მისაღწევად და მთაში გადასადგილებლად.

3.2.2.2 დამხმარე სერვისები

დამხმარე სერვისებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სურსათისა და ყოველდღიური მოხმარების პროდუქციის მიმწოდებლები. აქ შედის სადისტრიბუციო კომპანიები, ადგილობრივი ფერმერები, შინამეურნეობები და ბაზრობები. ჩამოთვლილი სუბიექტები წარმოდგენილი არიან, როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე მიზიდულობის ცენტრებში და სავაჭრო კავშირებს ამყარებენ სასტუმროებთან და განთავსების მსგავს საშუალებებთან სხვადასხვა პროდუქციის გასაყიდად. ეს პროდუქცია შეიძლება იყოს ხილი, ბოსტნეული, ხორცპროდუქტები, სხვადასხვა სახის ყოველდღიური მოხმარების პროდუქცია, მათ შორის ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო და კვების პროდუქტებით.

რაც უფრო დიდია სასტუმრო, მით უფრო რთულია მისთვის ადგილზე ფერმერებისგან შეიძინოს ხილი, ბოსტნეული, რძისა და ხორცის პროდუქტები. სასტუმროებს უწევთ თითქმის სრული მომარაგება გააკეთონ თავისი ფუნქციური რეგიონის მიზიდულობის

ცენტრიდან. სურსათი და სხვა საკვები პროდუქტების მომარაგება მიზიდულობის ცენტრებიდან ხორციელდება, თუმცა სადისტრიბუციო მომსახურება გამართულია და, ხშირ შემთხვევაში, ადგილზე აწვდიან პროდუქციას. ასევე, სასტუმროების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ადგილზე პროფესიული კადრის სიმწირე, რომლის მოზიდვა ზოგჯერ ისევ მიზიდულობის ცენტრიდან ხდება (მაგ., ყაზბეგში თბილისიდან ადამიანური რესურსის მოზიდვა).

დიდი სასტუმროებისგან განსხვავებით, სასტუმრო სახლები და საოჯახო სასტუმროები ცდილობენ სტუმარს შესთავაზონ ადგილობრივი პროდუქტი, რომელიც მათ მიერ არის წარმოებული ან შეძენილია მეზობელი ფერმერისგან. თუმცა, ადგილობრივი პროდუქტით სრულად მომარაგებას ვერც სასტუმრო სახლები და საოჯახო მეურნეობები ახერხებენ, ვინაიდან ადგილობრივი წარმოების პროდუქცია დეფიციტურია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას.

მოკლევადიან განთავსების ადგილებს, მსგავსი პრობლემები არ გააჩნიათ, რადგან ისინი მხოლოდ ფართობის გაქირავებით არიან დაკავებული და სხვა მომსახურებას ვიზიტორებს არ უწევენ.

სასტუმროების ღირებულებათა ჯაჭვში ასევე მნიშვნელოვანია კომუნალური სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტელეკომუნიკაციას, წყლის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და დასუფთავების მომსახურების მიწოდებას. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტი ბოლო დრომდე ხელმისაწვდომი არ იყო ახმეტის მუნიციპალიტეტის ნაწილში (თუშეთში), თუმცა ახლა ის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სოფელში. სხვა მუნიციპალიტეტებში მსგავსი პრობლემა არ ფიქსირდება.

სახელმწიფო უწყებები, დონორები და საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები წარმოადგენენ ღირებულებათა ჯაჭვში დამხმარე რგოლს კაპიტალსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. დონორებს გააჩნიათ საგრანტო პროგრამები, ხოლო ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საკრედიტო პორტფელები კონკრეტულად სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი ადგილების განვითარებისთვის. აღსანიშნავია სახელმწიფო ინსტიტუტებიც, რომლებიც აფინანსებენ ან მხარს უჭერენ სექტორის განვითარებას (სსიპ „წარმოე საქართველოში“).

სარეკლამო-საინფორმაციო კომპანიებში შედის სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები. საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო ცდილობს ქვეყნის პოპულარიზაციას სხვადასხვა გამოფენაზე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარდგენით. ერთ-ერთი მთავარი ქსელი ამ ჯაჭვში არის ტურისტული საინფორმაციო ცენტრები. გარდა ამისა, კერძო სარეკლამო კომპანიები მუშაობენ სხვადასხვა ტურისტული ობიექტების და სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი ობიექტების რეკლამირების კუთხით. ასეთი ტიპის მომსახურებას, ძირითადად, მსხვილი სასტუმროები მიმართავენ.

საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის ობიექტებში შედის რესტორნები, მაღაზიები და ბაზრობები. ბორჯომი გამოირჩევა ამგვარი ადგილების სიმრავლით, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში ამ სერვისების სრული სპექტრი ხელმისაწვდომი არ არის.

იგივე შეიძლება ითქვას გართობისა და დასვენების ობიექტებზე. ამ ობიექტებში შედის მუზეუმები, თეატრები, პარკები, დაცული ტერიტორიები, სათხილამურო ტრასები, საფეხმავლო ბილიკები, სპორტული დარბაზები, აუზები და ასე შემდეგ.

სახელმწიფო მარეგულირებელი და მაკონტროლებელი დაწესებულებები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჯაჭვში და აქ უნდა გამოიყოს:

- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომლის ამოცანაა საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შიდა ტურიზმის განვითარება, ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა;
- სურსათის ეროვნული სააგენტო. სასტუმროებისა და განთავსების ადგილები გადიან კვების ობიექტების შემოწმებას სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. სააგენტოს აქვს სრული დაფარვა ქვეყნის მასშტაბით და წვდომა აქვს მუნიციპალიტეტებთან;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს სასტუმროებისა და განთავსების ადგილების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას;
- სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსპექტირებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების ინსპექცია;
- გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ შემოწმებას ახორციელებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;
- მუნიციპალურ დონეზე ხმაურის, მშენებლობის წესების დარღვევის, მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების და შესაბამისი აქტის გამოცემის, კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილების ფარგლებში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე და სხვა საკითხების კონტროლის ფუნქციები მიეკუთვნება მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

გარდა მარეგულირებელი სახელმწიფო უწყებებისა, აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამები და, მათ შორის, სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელსაც აქვს სასტუმრო ინდუსტრიის დაფინანსების კომპონენტი. ასევე უნდა გამოიყოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის განვითარებაში. ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოჯახო სასტუმროების მფლობელთათვის, რადგან ხშირად ეს ორგანიზაციები ატარებენ უფასო ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. ასევე ატარებენ კვლევებს და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებს უწევენ საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებს.

განათლების კუთხით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი შედის თბილისის ფუნქციურ რეგიონში და წვდომა აქვს თბილისში არსებულ პროფესიულ პროგრამებზე. ასევე, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს, რომელიც მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში, წვდომა აქვს ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან და შეუძლია განავითაროს სასტუმროს ბიზნესთან და ტურიზმთან დაკავშირებული პროფესიული პროგრამები და ტრენინგკურსები. იგივე

შეიძლება ითქვას ახალციხის პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარზე“ ბორჯომთან მიმართებაში. ალვანში არის პროფესიული კოლეჯი „აისი“, რომელიც ამზადებს გიდებს და შეიძლება სხვა პროფესიების დამატებაც. მესტიაში არის პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“, რომელსაც შეუძლია ტურიზმთან დაკავშირებული პროფესიების დამატება. ვინაიდან ხულოს, შუახევსა და ქედას მჭიდრო კავშირი აქვთ ბათუმთან, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა პროფესიული კოლეჯი და უმაღლესი სასწავლებელი, პროფესიული სწავლების შესაძლებლობა ამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობასაც აქვს. აქედან გამომდინარე, განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა არ ფიქსირდება. გარდა ამისა, შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიჭაურში არის წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც შეუძლია დაამატოს პროფესიული პროგრამები და ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.

ფრენშიაზინგული, ბრენდული სახელწოდების მიმნიჭებელი, საკონსულტაციო, ხარისხის მართვის და სერტიფიცირების კომპანიები სასტუმროებსა და განთავსების ადგილებს სთავაზობენ კონსულტაციას და სერტიფიცირებას, სხვადასხვა სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით. ასეთი ტიპის კომპანიები ასევე გასცემენ სასტუმროებზე ლიცენზიას კონკრეტული ბრენდის სახელით საქმიანობის უფლების მისანიჭებლად.

სათხილამურო ტრასების და მსგავსი ინფრასტრუქტურის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

კულტურული ღონისძიებების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზატორები არიან სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ მსგავს ღონისძიებებს. ააასეთი ორგანიზაციებია საქართველოს ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო, მერია. საქართველოს მთავრობა ახორციელებს პროექტს „Check In Georgia“. ასევე აღსანიშნავია TBC ჯაზ ფესტივალი, Club Iveria და სხვა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოება და გადაუდებელი დახმარების ორგანიზაციებში შედის პოლიცია, პატრული და სამაშველო სამსახური. ხოლო სამედიცინო მომსახურების ობიექტებში შედის ამბულატორიები, კლინიკები, საავადმყოფოები და სასწრაფო დახმარების სამსახური.

3.2.2.3 სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია სასტუმროსა და განთავსების მსგავსი საშუალებების ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი ფაქტორების შეფასება (მე-18 ცხრილი).

ცხრილი 18. სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

წარმოების ფაქტორები

ბუნებრივი რესურსები
ბუნებრივი რესურსების უპირატესობიდან მთის კონტექსტში საგულისხმოა უნიკალური და მიმზიდველი ბუნებრივი ლანდშაფტი; მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა; ეკოლოგიურად სუფთა გარემო; წიწვოვანი და შერეული ტყის მასივები; ალპური მდელოები და სამოვრები. მინერალური და გამაჯანსაღებელი წყლები; ტბები, მდინარეები და ჩანჩქერები, რაც დადებითად აისახებ სექტორზე. აქვე უნდა აღინიშნოს დაცული ტერიტორიების სიმრავლე და მათი მნიშვნელობა. ქედის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება მაჭახელას, მტირალას და კინტრიშის დაცული ტერიტორიები. ბორჯომის მუნიციპალიტეტში შედის ბორჯომი-ხარაგაულის დაცული ტერიტორია. მესტია ესაზღვრება სვანეთის გეგმარების დაცულ ტერიტორიას. ყაზბეგში შედის მისი ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორიები. ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის ბაწარა-ბაბანეულის დაცული ტერიტორია და თუშეთის დაცული ტერიტორიები. მსგავსი ტერიტორიების არსებობა ასევე დადებითად მოქმედებს სექტორზე და სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.
ადამიანური რესურსები
უმთავრეს პრობლემას მუნიციპალიტეტებისთვის ქმნის მიგრაცია და ახალგაზრდების გადინება. კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა ვლინდება ყველა მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა, სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის უმრავლესობა საპენსიო ასაკისაა. მოთხოვნა მაღალია, როგორც სასტუმროს მომსახურების სფეროში დასაქმებად სპეციალისტებზე (ადმინისტრატორი, ბუღალტერი, ბარმენი, მზარეული და ა.შ.), ასევე პროფესიული უნარ-ჩვევების მქონდე სამუშაო ძალაზე (კალატოზი, დურგალი, ელექტრიკოსი, შემდუღებელი და ა.შ.). სასტუმროებში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი ადგილობრივი კადრია, ხოლო დანარჩენი, უფრო კვალიფიციური კადრი ჩამოსულია სხვადასხვა რეგიონიდან და ქალაქიდან, დროებით სამუშაოდ. სასტუმრო სახლები და საოჯახო სასტუმროები, ძირითადად, მეპარტონეების მენეჯმენტის ხელშია, რომლებიც ადგილობრივებსაც ასაქმებენ. იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება შემთხვევები, როცა მსგავსი ტიპის სასტუმროებშიც მუშაობს ჩამოსული მუშახელი. მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროებს აქვთ საკმარისი რესურსი იმისა, რომ მოამზადონ და გადაამზადონ საკუთარი კადრი, ხოლო დაბალი კლასის ბიუჯეტურ სასტუმროებს, სასტუმრო სახლებსა და საოჯახო სასტუმროებს უჭირთ პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე სამუშაო ძალის მოზიდვა. გარდა ამისა, მსგავსი ტიპის სასტუმროებს აქვთ ინგლისური ენის პრობლემა, რაც ხელს უშლის კომუნიკაციასა და მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევაში. რაც შეეხება საოჯახო სასტუმროების კადრებს, ისინი, ძირითადად, იყენებენ საკუთარი ოჯახის შრომით რესურსს და ზოგჯერ დამხმარედ ქირაობენ ერთ ან ორ მეზობელს. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მსგავსი განთავსების ადგილების მქონე მფლობელებს სჭირდებათ სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის და მომსახურების ხარისხის ამაღლების ტრენინგები, შემდეგ საკითხებში: სახანძრო უსაფრთხოების, სურსათის უვნებლობის და მცირე განთავსების ობიექტის ბიზნესის მენეჯმენტი.
კაპიტალი

ინვესტორთა დაინტერესება ყაზბეგის, ბორჯომის, მესტიისა და ხულოს მუნიციპალიტეტებით საკმაოდ მაღალია, რაც დადებითად მოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე და ზრდის მათ მოტივაციას, რომ თავადაც წამოიწყონ სასტუმრო ბიზნესი. აღსანიშნავია, რომ დანისპარაულსა და გოდერძის უღელტეხილზე მიმდინარეობს საინვესტიციო პროექტები, რომლებიც ხულოს მუნიციპალიტეტს შესძენს სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების მაღალ პოტენციალს. მიმდინარე მშენებლობების მასშტაბებზე დაყრდნობით, ახლო მომავალში წარმოდგენილი იქნება ყველა ტიპის სასტუმრო.

ზოგადად, მუნიციპალური ბიუჯეტები საკმარისი არ არის არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევების აღმოსაფხვრელად. თუმცა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ვერ ხერხდება არსებული ბიუჯეტის სრულად ათვისება რიგი მიზეზების გამო (ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობა, კეთილსინდისიერი სერვისის პროვაიდერების ნაკლებობა, მოკლე სამუშაო ვადები ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის კლიმატური პირობების გამო და ა.შ).

კომერციულ კრედიტებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, მაღალი საპროცენტო განაკვეთების, თანამონაწილეობის, სესხთან დაკავშირებული უზრუნველყოფის პირობებისა და სხვა ვალდებულებების გამო.

ENPARD-ის ფარგლებში 2016 წელს ევროკავშირმა დაიწყო სოფლის განვითარების პროგრამის განხორციელება ბორჯომის, ყაზბეგის, ქედას და ხულოს მუნიციპალიტეტებში. 2019 წელს დაიწყო ახმეტის და მესტიის მუნიციპალიტეტებში. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ტურიზმთან დაკავშირებული პროექტებიც, თუმცა პროგრამა შეზღუდულია დროსა და ფინანსებში.

რეგიონულ დონეზე ხორციელდება სახელმწიფო პროგრამებიც სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისა და მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით. რესპონდენტების აზრით, ინიციატივა ძალიან კარგია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის, თუმცა მექანიზმი ძალიან ბიუროკრატიულია, ფინანსური რესურსები შეზღუდულია და გარდამტეხი ეფექტის მომტანი არ არის.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ახმეტის ტურისტული ლოკაციები და მესტია ყველაზე დაშორებული ლოკაციებია შესაბამისი მიზიდულობის ცენტრებიდან. ამ ლოკაციებში საგზაო ტრანსპორტით მგზავრობა დიდ დროს მოითხოვს და საკმაოდ დამძლეულია. მესტიის მიმართულებით სამანქანო გზა გამართულია და მოძრაობა არ ფერხდება, წლის ნებისმიერი სეზონის განმავლობაში, თუმცა შესაძლებელია დიდთოვლობის გამო მოძრაობა რამდენიმე საათით შეფერხდეს. მესტიის მიმართულებით დადის ტაქსები და მიკროავტობუსები ზუგდიდიდან. მესტიაში ქუთაისიდან და თბილისიდან დაფრინავს თვითმფრინავიც, თუმცა ხშირია ფრენების გადადება უამინდობის და ცუდი ხილვადობის გამო. სოფლის გზები მოუწესრიგებელია. არის გრუნტის გზა, თუმცა წლის განმავლობაში დიდთოვლობის გამო შეიძლება მოკლე ვადით ჩაიკეტოს. მიმდინარეობს ცაგერი-ლენტეხი-მესტიის ახალი გზის პროექტირება და მესტია უშგულის საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ახმეტაში ზამთარში ვიზიტორთა ნაკლებობა ან არარსებობა განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურით, ვინაიდან დიდთოვლობის გამო თუშეთი ზამთარში მიუვალა. არსებული სამანქანო გზა მუდმივ რეაბილიტაციას საჭიროებს, მეწყერსაშიშა და ხდება წყლის დაგუბება. გზა უმეტესად გრუნტისაა. სოფლის გზები მოუწესრიგებელია. ზოგიერთ

ლოკაციაზე, მაგალითად წოვათა, გომეწრის ხეობა, გზა არ მიდის. თბილისიდან ქვემო ალვანამდე ავტომობილით მგზავრობა მოითხოვს 2 საათს, ხოლო ომალომდე 4-5 საათს. ზამთარში კვირაში ერთ დღეს, სოფელ ქვემო ალვანიდან ომალოში დაფრინავს ვერტმფრენი (20 კაცი), რომელსაც გადაჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა (არაკომერციული ფრენები). თუშეთში სეზონზე დადის ტაქსები თბილისიდან და ახმეტიდან. პანკისში ახმეტიდან დღის განმავლობაში რამდენჯერმე დადის სამარშრუტო ტაქსი. თუმცა პანკისში შიდა გზები მოუწესრიგებელია. ილტოს ხეობაში სამარშრუტო ტაქსი დადის ახმეტიდან კვირაობით. გზები აქაც მოუწესრიგებელია.

რაც შეეხება მთის სხვა კურორტებს, ყაზბეგს გააჩნია რუსეთის ფედერაციასთან საერთო საზღვარი. მუნიციპალიტეტში დიდია საერთაშორისო ტრანზიტული მოძრაობა. შიდა გზები არ არის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში. პერიოდულად, დიდთოვლობის გამო გზა იკეტება. არსებობს გზის გაწმენდის პრობლემა, რაც ნეგატიურად მოქმედებს ტურიზმზე და ასევე მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. თბილისიდან სტეფანწმინდამდე საავტომობილო ტრანსპორტით მოძრაობა მოითხოვს 3 საათს.

ბორჯომის მიმართულებით საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, რადგანაც ეს მონაკვეთი შედის ხაშური-ახალციხის ცენტრალურ საგზაო მაგისტრალზე. ტრანსპორტი მოძრაობს წლის ოთხივე სეზონზე. თბილისი-ბორჯომის მიმართულებით საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობა მოითხოვს 2-3 საათს, ხოლო ბორჯომიდან ბაკურიანამდე 1 საათზე ნაკლებს. ბორჯომი-ბაკურიანის მიმართულებითაც საგზაო ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტურისტული ლოკაციები ადვილად მიღწევადია. ვიზიტორები, ძირითადად, სარგებლობენ ტაქსით. მოქმედია თბილისი ბორჯომის მიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტი. ბორჯომიდან ბაკურიანის მიმართულებით ასევე მოქმედია ვიწროლიანდაგიანი სამგზავრო ტრანსპორტი, თუმცა რკინიგზის სადგურები საჭიროებს რეაბილიტაციას. ბაკურიანში საჭიროა შიდა გზების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

ქედა, შუახევი და ხულო მდებარეობს ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ საგზაო მაგისტრალზე. ბათუმიდან ხულომდე საგზაო ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებს გაფართოებას. ტრანსპორტი მოძრაობს წლის ოთხივე სეზონზე, თუმცა ზამთარში გოდერძის მიმართულებით დიდთოვლობის გამო გზა გარკვეული დროით იკეტება. ხულო-გოდერძის საგზაო მონაკვეთი საჭიროებს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს (რაც დაიგეგმა). ქედის, შუახევისა და ხულოს სოფლის გზების დიდი ნაწილი გაკეთებულია და სატრანსპორტო კომუნიკაცია შეუფერხებელია. ახალქალაქი-ბათუმის მიმართულებით ინიცირებული საგზაო მაგისტრალის განვითარება და გოდერძის უღელტეხილზე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულება ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს მეტი განვითარების საშუალებას მისცემს. როგორც ყაზბეგის შემთხვევაში, აქაც დიდია სატრანზიტო მოძრაობა რუსეთიდან, ასევე მოსალოდნელია, რომ ახალქალაქი-ბათუმის საგზაო მონაკვეთი გაზრდის ტრანზიტულ მოძრაობას სომხეთიდან დასავლეთი საქართველოს მიმართულებით.

სხვა ინფრასტრუქტურა

ყველა ფუნქციური რეგიონისთვის გამოვლინდა საერთო პრობლემები. ბილიკები, განათება, მოსასვენებელი, საპიკნიკე და საკემპინგე-საკარვე ადგილები, ავტოსადგომები, სანიტარული კვანძები საჭიროებს ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს. ადგილობრივი არქიტექტურა, მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ისტორიული ხიდები, სათვალთვალო კოშკები აღსადგენი და სარეაბილიტაციოა. მოსაწყობია მიმართულებისა და დანიშნულების ადგილების მაჩვენებლები, ასევე

საინფორმაციო დაფები/ზანერები. სავაჭრო ობიექტებისა და გასართობი ადგილების სიმცირე ვიზიტორს საშუალებას არ აძლევს უკეთ გაერთოს და მეტი დრო გაატაროს ტურისტულ ლოკაციაზე. როგორც ადგილობრივმა ექსპერტებმა და განთავსების ადგილების მფლობელებმა აღნიშნეს, შეინიშნება ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის (საჯომარდო ინფრასტრუქტურა, ზიპლაინები და სხვა) ნაკლებობა. ყაზბეგში შეინიშნება წყლისა და კანალიზაციის პრობლემა, დაბალი გამტარიანობის გამო. კობიდან გუდაურის მიმართულებით გაიხსნა ახალი საბაგირო გზა, რამაც ვიზიტორებს საშუალება მისცა მოიზიდონ სათხილამურო სპორტის მოყვარულებიც. სტეფანწმინდაში დარჩენის ძირითადი მიზეზია გუდაურთან შედარებით სასტუმროებსა და განთავსების ადგილების დაბალი ფასი. ბორჯომში კომუნალური ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად გამართულია. ელექტრომომარაგება კი ხშირად წყდება. სათხილამურო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. თუშეთში ელექტრომომარაგება არის მხოლოდ შენაქოში (აქვთ მცირე ჰესი). სასტუმროებში იყენებენ მზის ენერგიას (ჩეხეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტების დახმარებით). ბუნებრივი აირი არ არის. წყლის სისტემა არის მხოლოდ ომალოსა და შენაქოში. სოფლებს აქვს წყალმომარაგების პრობლემა. კანალიზაციის პრობლემა მწვავედ დგას ტურისტულ ლოკაციებზე (ომალო, შენაქო, დართლო, გირევი). აღნიშნული სერვისები პანკისში ხელმისაწვდომია, ხოლო ილტოში - არა. მესტიაში გაზიფიცირების პრობლემაა. მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი. მუნიციპალიტეტის ცენტრში ცენტრალური წყალმომარაგებისა და კანალიზაციის საკითხი მოგვარებულია. სოფლებში წყალმომარაგება პრობლემურია და არც კანალიზაციის სისტემაა მოწესრიგებული. აღსანიშნავია თეთნულდის და ხაჩვალის სათხილამურო ტრასები, რომელიც კარგად განვითარებულია. ქედაში, შუახევსა და ხულოში წყლისა და კანალიზაციის საკითხი მუნიციპალურ ცენტრებში მოწესრიგებულია. სოფლებში სასმელი წყლის მიწოდება არ არის ცენტრალიზებული, თუმცა წყლის მიწოდება ხდება საერთო ან ინდივიდუალური სათავე ნაგებობებიდან. სამივე მუნიციპალიტეტში დგას გაზიფიცირების პრობლემა, თუმცა გაზიფიცირების პროექტი დაწყებულია. მიმდინარეობს ბუნებრივი აირის ცენტრალური ხაზის გაყვანა. პირველ ეტაპზე მოხდება მუნიციპალური ცენტრების დაქსელვა და შემდეგ გაგრძელდება სოფლებშიც. ელექტროენერგიის მიწოდება არ წყდება. დანისპარაული - გოდერძის უღელტეხილზე მიმდინარეობს სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარება. ფუნქციონირებს ერთი 7 კილომეტრიანი საბაგირო გოდერძის მიმართულებით. იგეგმება ორი ახალი საბაგიროს მშენებლობა მწვანე ტბის და ბეშუმის მიმართულებით. შუახევში, კერძოდ გომარდულში გასაგრძელებელია სამთო-სათხილამურო ინვესტიციების წახალისება და საბაგიროს მოწყობა.
ტექნოლოგიები და ინოვაციები
ამ ეტაპზე ზოგი სასტუმრო მთაში იყენებს მზის პანელებს, რაც შეიძლება ინოვაციად იქნეს მიჩნეული.
საბაზრო ფაქტორები (ბაზრის ზომა, მომხმარებლის მახასიათებლები, პროდუქციის გასაღების გზები)
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის 2018 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების მეშვეობით ქვეყანაში შემოვიდა 7.2 მილიონი ადამიანი.

აქედან, 4.8 მილიონი ტურისტული ვიზიტებია, ხოლო 2.4 მილიონი - ერთდღიანი ტურისტული ვიზიტები. მუნიციპალურ დონეზე ვიზიტორთა სტატისტიკა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ იმ ვიზიტორთა სტატისტიკა, ვინც ადგილზე მიმართა ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებს, თუმცა, ამ მომაცემებზე დაყრდნობით, ბაზრის ზომის დადგენა ძალიან რთულია. გარდა ამისა, არ არსებობს იმის სტატისტიკა, თუ რამდენი ადგილობრივი მოქალაქე ეწვია კონკრეტულ მუნიციპალიტეტს, ტურისტული დასვენების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ყაზბეგი და ბორჯომი სასტუმროს ტიპებიდან გამომდინარე, ემსახურებიან ტურისტების ყველა სეგმენტს, როგორც დაბალშემოსავლიან, ასევე მაღალშემოსავლიან ვიზიტორებს.

ვიზიტორთა ზრდის დინამიკა დადებითია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებით საერთაშორისო ტურისტებისთვის საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანია გართობა, დასვენება და რეკრეაცია - 42.7%, მეგობრების, ნათესავების მონახულება - 20.3%, ტრანზიტი - 16.5%, ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა - 8.7%, შოპინგი - 6.9%, მკურნალობა - 2.7%, განათლების მიღება - 0.5%, რელიგია, მომლოცველობა - 0.3% და სხვა - 1.4%.

ამავე წყაროდან ირკვევა, რომ ვიზიტორებს აინტერესებთ შემდეგი 5 მთავარი აქტივობა (პრიორიტეტის მიხედვით დალაგებული): შოპინგი, ქართული სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნება, ღირსშესანიშნაობების მონახულება, ბუნებისა და ლანდშაფტის მონახულება, ზღვაზე, ტბასა და სანაპიროზე ცურვა.

მარკეტინგი დაფუძნებულია როგორც პარტნიორ ორგანიზაციებსა და ბიზნესოპერატორებზე, ტურისტულ სააგენტოებზე, სხვადასხვა საინფორმაციო ვებდვერდებსა და სოცქსელებზე, დაჯავშნის ელექტრონული საშუალებებზე (booking.com, Airbnb.com). მიუხედავად ამისა, რესპონდენტების აზრით, მაინც სუსტია მარკეტინგი და რეკლამირება. მცირე ზომის განთავსების ადგილებს, დიდ სასტუმროებთან შედარებით, უჭირთ საკუთარი თავის რეკლამირება და პოპულარიზაცია.

სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების ფასები განსხვავებულია, რასაც განაპირობებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: სასტუმროს მდებარეობა კურორტულ ზონაში (მაგალითად, სამთო-სათხილამურო), სეზონურობა, სასტუმროს ტიპი, შემოთავაზებული სერვისები (ტრანსპორტირება, კვება, აუზი, სპა, სპორტული დარბაზი და ა.შ.), ლოკაცია და სიახლოვე მონახულების ობიექტებთან, კონკურენცია და ა.შ.

ბორჯომის, ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტში სასტუმროებისა და განთავსების საშუალებების ფასების დიდი არჩევანია. აქ გვხვდება, როგორც მაღალი კლასის (4-5 ვარსკვლავიანი) სასტუმროები, რომლის ფასები ტურისტული სეზონის დროს 2-ადგილიან ნომრებზე 250 ლარიდან 500 ლარამდე მერყეობს. შედარებით დაბალი კლასის (3 ვარსკვლავამდე) სასტუმროების ფასი 2-ადგილიან ნომრებზე - 150 ლარიდან 300 ლარამდე. სასტუმრო სახლების ფასი 2-ადგილიან ნომრებზე მერყეობს 100 ლარიდან 250 ლარის ფარგლებში. საოჯახო სასტუმროების ფასი 2-ადგილიან ნომრებზე 30 ლარიდან 100 ლარის ფარგლებშია. მოკლევადიანი განთავსების ადგილების (კერძო სახლები, ვილები, კოტეჯები, ბინები და აპარტამენტები) ფასი 2-დან 6-ადგილიან ფართობზე 80 ლარიდან 600 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ახმეტის მუნიციპალიტეტში, კერძოდ თუშეთში სასტუმროების ფასი მერყეობს 90 ლარიდან 230 ლარამდე, ხოლო სასტუმრო სახლების ფასი 50 ლარიდან 170 ლარამდე მერყეობს. თუშეთის გარდა, უმეტესად გვხვდება სასტუმრო სახლები 50 ლარიდან 100 ლარის ფარგლებში. გამონაკლისია ერთი სასტუმრო, რომლის ფასი 250 ლარიდან 300 ლარის ფარგლებშია.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში საოჯახო სასტუმროების ფასი 40 ლარიდან 70

ლარის ფარგლებში მერყეობს.

ყაზბეგში (გუდაური და დაბა სტეფანწმინდა), ბორჯომსა (ქალაქი ბორჯომი და ბაკურიანი) და მესტიის სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები მუშაობს ოთხივე სეზონზე, თუმცა, სრული დატვირთვა მოდის ზამთრისა და ზაფხულის პერიოდზე. რაც შეეხება მესტიას, აქ ზაფხულში უფრო მეტი ვიზიტორია. ზამთრის პერიოდში საინტერესოა სათხილამურო მიმართულებით დასვენება და გართობა, ხოლო სხვა პერიოდში ეკო და კულტურული ტურიზმი.

ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმზიდველია ეკო და კულტურული ტურიზმის მიმართულება. ხულოს მუნიციპალიტეტში სხალთის ხეობას, უმეტესად, გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის პერიოდში სტუმრობენ. ძირითადად, აქტუალურია აგრო, ეკო და კულტურული ტურიზმი. ადგილობრივი ტურისტებისთვის პოპულარულია ბემუმის საზაფხულო კურორტი რეკრეაციული მიმართულებით, ხოლო გოდერძის კურორტი მიმზიდველი ხდება ოთხივე სეზონზე და განსაკუთრებით ზამთარში სამთო-სათხილამურო ტურისტებისთვის, ხოლო სხვა პერიოდში აგრო, ეკო და კულტურული ტურიზმის მხრივ.

შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტები ვიზიტორებისთვის მიმზიდველია გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის პერიოდში. თუმცა ზამთარში შუახევის მუნიციპალიტეტში, კერძოდ გომარდულში დაიწყო სათხილამურო კურორტის განვითარებაც. ქედის მუნიციპალიტეტს, ვინაიდან იგი ახლოსაა ბათუმთან, ვიზიტორები ზამთარშიც სტუმრობენ, თუმცა ვიზიტები ერთდღიანია და, ძირითადად, მიდიან ჩანჩქერის მოსანახულებლად მახუნცეთში და სტუმრობენ კვების ობიექტებს (რესტორნებს).

ყაზბეგის, ბორჯომის, მესტიისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ზამთრის პერიოდში ვიზიტორის დარჩენის ხანგრძლივობა მეტია, ვიდრე სხვა სეზონებში. ეს განპირობებულია სათხილამურო კურორტების ინფრასტრუქტურით. თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სხვა სახის გასართობი და დროის გასატარებელი ადგილების განვითარების საჭიროებაც.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ტურისტების რაოდენობა რეგიონში ყოველ წელს იზრდება. ამ ეტაპზე ტურისტების უმეტესობა რუსეთის მოქალაქეა, თუმცა იზრდება ევროპელი ტურისტების რაოდენობა. ვიზიტორთა დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა 2-3 დღეა. ზამთრისა და ზაფხულის სეზონზე ბევრია საერთაშორისო ვიზიტორი, თუმცა გუდაურში განსაკუთრებით ჭარბობს ადგილობრივი ტურისტი - ზამთარში სათხილამურო სეზონის გამო. ვიზიტორები სარგებლობენ ყველა ტიპის განთავსების ადგილებით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში იზრდება ევროპიდან და აზიიდან შემომსვლელ ტურისტთა რიცხვი, პოსტსაბჭოთა სივრცისთვის ბორჯომი ტრადიციული ტურისტული ადგილია. გამაჯანსაღებელი პროცედურებისათვის ჩამოსული დამსვენებლების დარჩენის ხანგრძლივობა მინიმუმ 1 კვირაა. ბაკურიანში ვიზიტორთა უმეტესი ნაწილი ადგილობრივი ტურისტია. ვიზიტორები განთავსების მხრივ რჩებიან ყველა ტიპის განთავსების ადგილებში.

მესტიის მუნიციპალიტეტში ვიზიტორების ძირითადი ნაკადი მოდის რუსეთიდან და ევროპიდან. ზაფხულის სეზონი მეტად დატვირთულია, ვიდრე ზამთრის. სათხილამურო კურორტები უფრო მეტად ადგილობრივ ტურისტებს იზიდავს, თუმცა არიან უცხოელებიც, რომლებსაც ექსტრემალური სპორტი აინტერესებთ. ვიზიტორები რჩებიან საშუალოდ 2-3 დღე. ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომია ყველა ტიპის განთავსების ადგილები.

ახმეტის მუნიციპალიტეტში თუშეთს ვიზიტორები მხოლოდ ზაფხულში სტუმრობენ. ვიზიტორები რჩებიან საშუალოდ 2-3 დღე. ადგილზე გადაადგილებიან ფეხით, ცხენით, ველოსიპედით. თუშეთში ვიზიტორები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან. პანკისში, ძირითადად, აზიიდან და არაბული

ქვეყნებიდან ჩამოდიან. ილტოს ხეობაში ტურისტთა ნაკადი მცირეა, უგზოობისა და ინფრასტრუქტურის სრული არქონის გამო.

ქედის, შუახევისა და ხულოს ტურისტული სეზონი გრძელდება ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით და ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით. ვიზიტორები, უმეტესად მოდიან ბათუმიდან ან ხვდებიან ბათუმი-ახალციხის გზის გავლით. ქედში ვიზიტორები ჩერდებიან რამდენიმე საათით, მიდიან ჩანჩქერებზე ან რესტორნებში და ისევ ბრუნდებიან ბათუმში. განთავსების ადგილებში ვიზიტორები ჩერდებიან 2-3 დღით. ვიზიტორების ძირითადი ნაკადი მოდის რუსეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, ირანიდან, ისრაელიდან და არაბული ქვეყნებიდან. ქედის მუნიციპალიტეტში მარტო მახუნცეთის ჩანჩქერს სეზონზე დღეში საშუალოდ 3000 ადამიანი სტუმრობს.

ვიზიტორთა დიდ ნაწილს აინტერესებს ადგილობრივი ღვინო და კერძები, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრება, ტრადიციები, ისტორიული ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობა, ასევე ექსტრემალური ტურები. ხულოს მუნიციპალიტეტს გააჩნია დიდი სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

სხვა სექტორები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია შერჩეულ სექტორთან

სასტუმროსა და განთავსების ბიზნესში ერთ-ერთ მთავარ სექტორად მიიჩნევა საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სექტორი. გამოვლენილ მუნიციპალიტეტებში წვდომა საგზაო ტრანსპორტზე შეუფერხებელია, თუმცა ზოგ მუნიციპალიტეტში შიდა გზები მოუწესრიგებელია, ზოგან კი მოუწესრიგებელია ფუნქციური რეგიონის მიზიდულობის ცენტრთან დამაკავშირებელი გზები. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ახმეტის მუნიციპალიტეტი, კერძოდ თუშეთი, სადაც ზამთარში საგზაო ტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელია. რაც შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტს, იგი მოძველებული და არაკომფორტულია.

შემდეგ მთავარ სექტორად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ტურისტული მომსახურების სფერო, სადაც შედის ტუროპერატორები და სააგენტოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, გართობისა და დასვენების, ასევე რეკრეაციის ობიექტები, ბაზრობები და სავაჭრო ობიექტები, გიდების მომსახურება და სხვადასხვა ტური და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მოცემულ მუნიციპალიტეტებში ყველა ჩამოთვლილი მომსახურება შეზღუდულია.

შერჩეულ მუნიციპალიტეტებში სასტუმროს ბიზნესთან პირდაპირ კავშირშია სოფლის მეურნეობა, ვინაიდან კვება მომსახურების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. თუმცა, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობა, კლიმატური პირობებისა და მოსახლეობის მხრიდან დაბალი ინტერესის გამო, სუსტად არის განვითარებული. შესაბამისად, სასტუმროების სტაბილური მომარაგება ბოსტნეულით, ხილით, თევზით, ხორციითა და რძის პროდუქტებით ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, არსებობს შესაძლებლობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანის, რაც გასტროტურიზმს დამატებით ღირებულებას შესძენს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის პროდუქტებით მომარაგება, ძირითადად, ხდება მიზიდულობის ცენტრებიდან. საოჯახო სასტუმროები მაქსიმალურად ცდილობენ გამოიყენონ საკუთარი წარმოების ან ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (რძის პროდუქტები, ხორცი, თევზი, თაფლი, ბოსტნეული და ხილი) და ნაკლებად იყენენ დამოკიდებული მიზიდულობის ცენტრზე.

მმართველობა (სახელმწიფო რეგულაციები და სტანდარტები)

მთის კანონი ქმნის შეღავათიან გარემოს სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის. კანონით ადგილობრივ მოსახლეობას შეღავათები აქვს ელექტროენერგიასა და გადასახადებზე.

სურსათის ეროვნული სააგენტო რეგულარულად ამოწმებს სასტუმროებს და საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. ახლო მომავალში სურსათის უვნებლობის, შრომის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი რეგულაციები შეეხება სასტუმროებსაც, რომლებიც ფუნქციონირებენ მთაში. აღსანიშნავია, რომ დიდი სასტუმროებისგან განსხვავებით, რომლებსაც აქვთ საკმარისი ფინანსური და ტექნიკური რესურსი, საოჯახო სასტუმროებისთვის რეგულაციებზე მორგება საკმაოდ რთული პროცესია. ამასთანავე, საოჯახო სასტუმროებს არ გააჩნიათ ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება, თუ რა ღონისძიებების გატარება მოუწევთ და რა ოდენობის ფინანსურ რესურსებთან იქნება ეს პროცესი დაკავშირებული.

3.2.2.4 SWOT ანალიზი

მთაში სასტუმროს და განთავსების ბიზნესის წარმოება ხასიათდება თავისებურებებით, რომელთა ნაწილი ხელს უწყობს ან უშლის სექტორის განვითარებას. მთაში სასტუმროს და განთავსების ბიზნესის წარმოების სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები შეჯამებულია მე-19 ცხრილში.

ცხრილი 19. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
საწარმოო ფაქტორები: • ტურისტისთვის მიმზიდველი ბუნება, ფლორა და ფაუნა; • ზამთრისა და ზაფხულის კურორტები; • დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები; • მინერალური და გამაჯანსაღებელი წყლები; • სხვა ბუნებრივი რესურსები რომლებიც პირდაპირ ან ირიბ კავშირშია	საწარმოო ფაქტორები: • ტურისტული ნიშნების, მიმართულებების ნაკლებობა; • მოსასვენებელი ადგილებისა და სანიტარული კვანძების არარსებობა; • საკემპინგე ზონებში განუვითარებელი ინფრასტრუქტურა; • კვალიფიციური ადგილობრივი კადრების დეფიციტი; • სუსტი სამეწარმეო უნარ-ჩვევები;

ტურიზმთან; • ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა და ძეგლები; • ტრადიციული სამზარეულო; • ადგილობრივი ტრადიციები, ფოლკლორი, ხალხური ცეკვები; • ტბები და მდინარეები; საბაზრო ფაქტორები: • მოსახლეობის დადებითი განწყობა, უცხოელი სტუმრების მიმართ; მმართველობა: • ადგილობრივი განვითარების ჯგუფებისა (LAG) და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების არსებობა.	• საზოგადოების მენტალიტეტის გარკვეული მახასიათებლები (მაგ., კონსერვატიულობა); • ტელეკომუნიკაციის, კავშირგაბმულობის დაბალი ხარისხი; • ელექტროენერგიაზე, წყლისა, საკანალიზაციო სისტემებზე და ბუნებრივ აირზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; • ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; • მყარი ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების მაღალი დონე. საბაზრო ფაქტორები: • ადგილზე გართობის საშუალებების არარსებობა; • დაბალი კონკურენცია; • სუსტი მარკეტინგი (რეკლამისა და ტურისტების მოზიდვის სტრატეგიების განუვითარებლობა, ტურისტული რუკების და მარშრუტების გავრცელების დაბალი არეალი); • გარემოსდაცვით და ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების დაბალი ცნობიერება; სხვა სექტორებთან კავშირი: • გაუმართავი და არაკომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტი; • საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდული არჩევანი; • სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე (აფთიაქების ნაკლებობა და ამბულატორიული კლინიკის არ
--	--

	არსებობა, ექიმების ნაკლებობა).
შესაძლებლობები	საფრთხეები
საწარმოო ფაქტორები: მთის კურორტების მრავალფეროვნება, რაც საშუალებას იძლევა, განვითარდეს სხვადასხვა სახის ტურიზმი (ეკო, აგრო, სათავგადასავლო/ექსტრემალური, ღვინისა და გასტროტურიზმი, • სამედიცინო და რეკრეაციული, კულტურული; • ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები (ნაკლებად დაბინძურებული გარემო) საბაზრო ფაქტორები: • საქართველოსადმი საერთაშორისო ტურისტების მზარდი ინტერესი; • სასტუმროების ნაკლებობა; მმართველობა • ინვესტორებისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი და საგადასახადო გარემო; • კორუფციისა და დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი; • ბიზნესის დაწყების სიმარტივე; • უვიზო რეჟიმი 100-ზე მეტ ქვეყანასთან.	საწარმოო ფაქტორები: • ბუნებრივი კატაკლიზმები (მეწყერი, თოვლი, წყალდიდობა); • წაბლის ტყის დაავადება (ქედა); • ნაძვის ტყის დაავადება - „ლაფანჭამია“ (შუახვევი). საბაზრო ფაქტორები: • არახელსაყრელი ეკონომიკური გარემო იმ ქვეყნებში, საიდანაც საქართველოში სტუმრების უმრავლესობა მოდის; • ტურისტების უსაფრთხოების სტანდარტების დაბალი დონე; სხვა სექტორებთან კავშირი: • ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და მისგან გამოწვეული ეკოლოგიური შედეგები; • ბუნებრივი და ხელოვნური ხანძრები; • ტყის ჭრა გათბობის მიზნით. მმართველობა: • გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მდებარეობა; • პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაცია.

3.2.2.5 დასკვნები და რეკომენდაციები

მთაში სასტუმროსა და განთავსების ბიზნესის ღირებულებათა ჯაჭვზე დაკვირვებით და ამ სექტორის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასტუმროსა და განთავსების ბიზნესი მთაში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდის, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის, მოსახლეობის მთიდან გადინების შემცირებისა და სოფლის განვითარების წინაპირობაა. თუმცა, მოსახლეობის გადინების, კვალიფიციური კადრების ნაკლებობის, გამოცდილების არქონის და მოუწესრიგებელი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ამ დარგის განვითარებას ხელი ეშლება.

ვინაიდან მთაში სტუმრები იკვებებიან სასტუმროებსა და განთავსების ადგილებში, ასევე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, ყველა ეს ობიექტი მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომარაგებას. მოთხოვნა განვითარებულ კურორტულ ზონებში მაღალია და ვიზიტორების ზრდასთან ერთად უფრო გაიზრდება. ბუნებრივ-კლიმატური პირობების და ადგილობრივების დაბალი დაინტერესების გამო, სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობები არ არის გამოყენებული. თუმცა, არის პოტენციალი, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სოფლის მეურნეობის რესურსი და მოყვანილ იქნეს სხვადასხვა პროდუქტი, რაც ადგილზე შეიძლება იწარმოოს. გარემო პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მაგალითად ყაზბეგსა და მესტიაში შესაძლებელია მხოლოდ მეცხოველეობის პროდუქტების (რძე და ხორცი) წარმოება და რამდენიმე სახის ხილისა და ბოსტნეულის (კარტოფილი, ვაშლი, ქლიავი) მოყვანა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში დიდია ხილისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის შესაძლებლობა, მაგალითად ქედაში და შუახევში, თუმცა, მეცხოველეობა, საძოვრების არარსებობის გამო, დიდი მასშტაბით ვერ ვითარდება. მთაში სოფლის მეურნეობა შეიძლება ეფუძნებოდეს ბიოლოგიურად სუფთა, ნატურალური პროდუქციის წარმოებას, რაც სასტუმრო ბიზნესის და გასტროტურიზმის დამატებითი ღირებულება იქნება.

სასტუმროების მომარაგების გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილზე წარმოების ზრდის მიზნით და მიზიდულობის ცენტრებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით, რეკომენდებულია:

- პერიურბანული სოფლის მეურნეობის განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს სასტუმროების მომარაგება სხვადასხვა პროდუქტით;
- ადგილობრივი სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების დაკავშირება ადგილობრივ მწარმოებლებთან სასტუმროების ასოციაციების მეშვეობით;
- პროფესიული განათლების წახალისება და ხელშეწყობა, კვალიფიციური სამუშაო ძალის მოზილიზების მიზნით;
- ავტოსადგურებისა და მატარებლის სადგურების (ბორჯომი და ბაკურიანი) რეაბილიტაცია;
- გზის საწმენდი ტექნიკის შეძენა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტურისტების შეუფერხებელი მოძრაობა ისეთ ადგილებში როგორიცაა მაგ. ყაზბეგი, თუშეთი;

- საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება ან/და დროული დასრულება, როგორცაა ბათუმი-ახალციხე, ლენტეხი-მესტია, მესტია-უშგული, ახმეტა-ომალო, გუდაური-სტეფანწმინდა;
- წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება;
- ნიშნულების, მიმართულების მაჩვენებელი ბანერების თუ საინფორმაციო სტენდების დამონტაჟება.

მარკეტინგისა და ბაზრის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით რეკომენდებულია:

- აგრო, ეკო, კულტურული და ღვინის ტურიზმის განვითარება;
- საბაგიროების, ზიპლაინების, ექსტრემალური ტურიზმის, ველოტურიზმის, ცხენოსნობის, ჯომარდობის, განვითარება;
- ადგილობრივად სხვადასხვა ხელსაქმის, რეწვის, ტექსტილისა და სუვენირების წარმოების განვითარება;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაცია, სიძველეების შენარჩუნება და ახლებურად წარმოდგენა;
- სოფლად განვითარების ხელშეწყობა: პარკების, სკვერებისა და მოსასვენებელი ადგილების მოწყობა/განვითარება; ბაზრობების გამართვა, სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა; სავაჭრო ობიექტების ქსელისა და რესტორნების, კაფეებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განვითარება.

მმართველობის თვალსაზრისით რეკომენდებულია:

- სამაშველო სერვისების მოწყობა (სამედიცინო, სახანძრო, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები);
- უპატრონო ძაღლებისა და კატებისთვის მუნიციპალური თავშესაფარის მოწყობა;
- მყარი ნარჩენების უტილიზებისა და მართვის სწორი სისტემის დანერგვა;
- ხის ჭრაზე გაძლიერებული კონტროლი და ენერგიის ალტერნატიული წყაროებით მოსახელობის უზრუნველყოფა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის შედეგების თანახმად, ამ ეტაპზე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები არ წარმოადგენენ მიზიდულობის ცენტრებს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის. დღეისათვის დიდი ფუნქციური რეგიონების მიზიდულობის ცენტრებს ძირითადად წარმოადგენენ საქართველოს ისეთი მსხვილი ქალაქები როგორცაა თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი და თელავი. რაც შეეხება პოტენციურ მიზიდულობის ცენტრებს მთაში - ამბროლაური, ახალქალაქი, თიანეთი, წალკა და შუახევი - ისინი გამოირჩევიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონით, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციას მთიდან შესაბამის მიზიდულობის ცენტრებში. გამონაკლისია მესტია, სადაც ტურიზმში ინვესტიციებმა განაპირობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება და მიმზიდველობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.


აღსანიშნავია რომ, ფუნქციური რეგიონების საზღვრები არ ემთხვევა რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებს, რაც გასათვალისწინებელია რეგიონული განვითარების ღონისძიებების შემუშავებისას.

კვლევიდან ჩანს, რომ რძის პროდუქტების წარმოება და სასტუმროების საქმიანობა არის მთაში ეკონომიკური განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები. სწორედ ეს სექტორებია რელევანტური მთის მუნიციპალიტეტების უმეტესობისთვის. ეს სექტორები მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან და ორივეს ახასიათებს კომპეტენტური სამუშაო ძალის ნაკლებობა და შეზღუდული ინფრასტრუქტურა.


სექტორული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შესაბამის სექტორებს, თუმცა მთის განვითარება უნდა მოხდეს ინტეგრირებული, ტერიტორიული განვითარების მიდგომების გათვალისწინებით და არ უნდა იყოს მხოლოდ რომელიმე ერთ სექტორზე ფოკუსირებული. აუცილებელია კომპლექსური მიდგომების გამოყენება, რომელიც მიმართული იქნება მთლიანად ფუნქციურ რეგიონზე და არა ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და სექტორების განვითარებაზე.

დანართი

გრაფიკი A 1. ღამის განათების ინტენსივობის რუკა



გრაფიკი A 2. მუნიციპალიტეტების საშუალო რეიტინგი 9 ინდიკატორის მიხედვით



ცხრილი A1. სამარშრუტო ტაქსების გამცილებლების კითხვარი

ქალაქი _____ პოზიცია _____
 სახელი და გვარი _____ ტელ: _____

#	შემომავალი სამარშრუტო ხაზის დასახელება	რეისების რაოდ. დღეში	ტევადობა	მგზავრობის ღირებულება	სად ჩამოდის მგზავრობა უდიდესი ნაწილი?		მგზავრობის ძირითად მიზანი* (დაასახელეთ რეგითობის მიხედვით)	
					1	2	1	2
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								
13								
14								
15								

*მგზავრობის

მიზანი:

A – სამსახურში/არაფორმალურ სამუშაო ადგილამდე

მგზავრობა;

B – ტვირთის გადაზიდვა, შემდეგ მისი გაყიდვის მიზნით;

C – საყიდლებისთვის სხვა ქალაქში

გადაადგილება;

D – სამედიცინო მომსახურების მიღება;

E – საგანმანათლებლო.

ცხრილი A2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის განაწილება მუნიციპალიტეტებს შორის

ადგილმდებარეობა	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა	%
ქ. ბათუმი	2225	3%
ქედა	7826	11%
ქობულეთი	15385	22%
შუახევი	11936	17%
ხელვაჩაური	8923	13%
ხულო	22236	32%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	68531	100%
ქ. ოზურგეთი	430	1%
ლანჩხუთი	16304	34%
ოზურგეთი	22381	46%
ჩოხატაური	9059	19%
გურია	48174	100%
ქ. ქუთაისი	620	0.4%
ბაღდათი	9228	5%
ვანი	13018	8%
ზესტაფონი	18860	11%
თერჯოლა	21225	13%
სამტრედია	21932	13%
საჩხერე	15713	9%
ტყიბული	6765	4%
წყალტუბო	23830	14%
ჭიათურა	13754	8%
ხარაგაული	10298	6%
ხონი	12784	8%
იმერეთი	168037	100%
ქ. თელავი	220	0%
ახმეტა	14081	11%
გურჯაანი	6810	5%
დედოფლისწყარო	12298	10%
თელავი	9276	7%
ლაგოდეხი	21182	17%
საგარეჯო	40094	32%
სიღნაღი	9686	8%
ყვარელი	11747	9%
კახეთი	125394	100%
ქ. მცხეთა	84	0%
დუშეთი	13684	38%
თიანეთი	7797	21%
მცხეთა	12304	34%
ყაზბეგი	2591	7%

მცხეთა-მთიანეთი	36460	100%
ქ. ამბროლაური	335	2%
ამბროლაური	6682	32%
ლენტეხი	3676	17%
ონი	3693	17%
ცაგერი	6729	32%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	21115	100%
ქ. ზუგდიდი	867	0.5%
ქ. ფოთი	594	0.3%
აბაშა	24502	13%
ზუგდიდი	43657	23%
მარტვილი	30898	17%
მესტია	9038	5%
სენაკი	19060	10%
ჩხოროწყუ	14370	8%
წალენჯიხა	13575	7%
ხობი	29470	16%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	186031	100%
ქ. ახალციხე	528	0.4%
ადიგენი	21861	18%
ასპინძა	13888	11%
ახალქალაქი	30797	25%
ახალციხე	16914	14%
ბორჯომი	7828	6%
ნინოწმინდა	31083	25%
სამცხე-ჯავახეთი	122899	100%
ქ. რუსთავი	797	1%
ბოლნისი	14678	11%
გარდაბანი	30605	22%
დმანისი	20432	15%
თეთრიწყარო	13765	10%
მარნეული	30959	22%
წალკა	28038	20%
ქვემო ქართლი	139274	100%
ქ. გორი	156	0%
გორი	24276	35%
კასპი	17936	26%
ქარელი	15317	22%
ხაშური	11395	16%
შიდა ქართლი	69080	100%

ცხრილი A3. მეურნეობების სარგებლობაში არსებული ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ფართობი

ფუნქციური რეგიონი	მუნიციპალიტეტი	მეურნეობების სარგებლობაში არსებული ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ფართობი (ჰა)
თბილისის ფუნქციური რეგიონი	თეთრიწყარო	9070
ქუთაისის ფუნქციური რეგიონი	ონი	1304
	ლენტეხი	213
მარნეულის ფუნქციური რეგიონი	წალკა	14755
	დმანისი	18088
ახალციხის ფუნქციური რეგიონი	ადიგენი	2126
	ასპინძა	10440
	ახალქალაქი	3119
	ნინოწმინდა	25948

